პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

შაბათი, 12 მაისი, 1951 წ. № 110 (8964). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

კვალიფიციური მუშახელი არ მოვაკლოთ სამგორის სახალხო მშენებლობას (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
მაღალიდეური, ქმედითი აგიტაციისათვის (მე-2 გვერდი).
ბავშვებს — კარგი წიგნი—„პრავდის“ 11/V მოწინავე (მე-2 გვერდი).
„კომუნისტის“ მკითხველთა რაიონულ კრებებზე (მე-2 გვერდი).
ა. ა. გრომიკოს განცხადება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარ თათბირზე (მე-3 გვერდი).
ბულგარეთის მთავრობის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსადმი (მე-3 გვერდი).
ალბანეთის ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი (მე-3 გვერდი).
მშვიდობის პაქტისათვის (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
ისრაელის კომპარტიის განცხადება (მე-4 გვერდი).
პანამის ამბების გამო (მე-4 გვერდი).

კვალიფიციური მუშახელი არ მოვაკლოთ სამგორის სახალხო მშენებლობას

არასოდეს ისე ფართოდ არ ყოფილა ჩვენში გაჩაღებული საირიგაციო სამუშაოები, როგორც ომისშემდგომ წლებში. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ წლების მანძილზე რესპუბლიკაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კეხვის, სალთვისის, სკრა-ქარელის, დოეს-გრაკალისა და აჯამეთის სარწყავი არხები; დამთავრდა ალაზნის სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია; დაიწყო თეზი-ოკამის, ვანათისა და მუხრანის სარწყავი არხების მშენებლობა, სალთვისისა და ტირიფონის სარწყავი სისტემების სათავის ნაგებობათა რეკონსტრუქცია; მესხეთის რაიონებისათვის აშენდა მექანიკური რწყვის რამდენიმე დანადგარი.

მაგრამ გაწეული მუშაობა მხოლოდ ერთი ნაწილია იმ დიდი პროგრამისა, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის წინაშეა დასახული უახლოესი ექვსი-შვიდი წლის მანძილზე. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 5 ოქტომბრის დადგენილებით დასახულია დიდი პროგრამა წყალთა მეურნეობის კაპიტალური მშენებლობისა საქართველოში. ამ პროგრამის განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს სარწყავი ფართობის გადიდება 282 ათასი ჰექტარით და 1957 წლისათვის საქართველოს მარცვლეულის რაიონებში, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში, სარწყავი ფართობი აყვანილ უნდა იქნას 538 ათას ჰექტარამდე.

საირიგაციო მშენებლობის ამ პროგრამაში ყველაზე დიდმნიშვნელოვანია სამგორის სარწყავი სისტემა, რომელსაც ხალხმა კანონიერად უწოდა სახალხო მშენებლობა.

საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა ქართველი ხალხი სამგორის გადამწვარი და გამოფიტული ველების გაცოცხლებას, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ეს ოცნება განუხორციელებელი რჩებოდა. მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში გახდა შესაძლებელი ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ უდიდესი მნიშვნელობის საქმის შესრულება. რამდენიმე წელიწადია ფართო მუშაობაა გაჩაღებული სამგორის სარწყავი სისტემის ასაშენებლად. ამ სახალხო მშენებლობაში მთელი საქართველო მონაწილეობს. უკვე შესრულებულია მრავალი ათეული მილიონი მანეთის სამუშაო.

სამგორის მშენებელთა წინაშე განსაკუთრებით საპატიო და პასუხსაგები ამოცანაა დასახული მიმდინარე წელს. მათ ისე უნდა წარმართონ მუშაობა, რომ წელს შემოდგომაზე უზრუნველყონ თბილისის წყალსაცავში ივრის წყლის გაშვება და მომავალი წლიდან პირველი ათასი ჰექტარების მორწყვა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობისა და მშენებელთადმი. მშენებელთა განკარგულებაშია მძლავრი საბჭოთა ტექნიკა. სამგორში მუშაობენ საუკეთესო საბჭოთა სამშენებლო მანქანები: გრეიდერები, უნივერსალური ტრაქტორები, სკრეპერები, ბულდოზერები და სხვა მექანიზმები. ექსკავატორთა რაოდენობა მშენებლობაზე 1949 წელთან შედარებით ექვსჯერ გაიზარდა.

ამ რთულ საბჭოთა ტექნიკას წარმატებით მართავენ და მაღალნაყოფიერად ამუშავებენ სამგორის ახალგაზრდა მუშათა კადრები. **მრავალი ასეული გუშინდელი კოლმეურნე, რომლებიც სამგორში დროებით სამუშაოდ ჩამოვიდნენ და არავითარი პროფესია არ გააჩნდათ, კვალიფიციური მშენებელი გახდა. აღიზარდნენ მაღალკვალიფიციური მებეტონეები, დურგლები, მეარმატურეები, მექანიზატორები და სხვა პროფესიების ოსტატები.** ბევრი მათგანი მშენებლობაზე სტახანოვური შრომის ნიმუშებს გვიჩვენებს.

ასობით მშენებლის სურვილია ბოლომდე დარჩნენ მშენებლობაზე და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ საშვილიშვილო საქმეში. ამ მხრივ უსათუოდ მისაბაძია სამგორწყალმშენის მეორე სამშენებლო უბნის კომკავშირული ბრიგადის წევრთა წერილი სამგორის ყველა მშენებლისადმი, რომელიც „კომუნისტის“ 24 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა.

„მალე, სულ რამდენიმე თვეში დავამთავრებთ იმ სამუშაოს, — ნათქვამია წერილში, — **რაც უბნის ხელმძღვანელებმა მოგვანდეს, და მოახლოვდება სამგორში ჩვენი მუშაობის ვადის დასასრული. სამგორიდან კოლმეურნეობებში დაბრუნების ვადის მოახლოების გამო ჩვენი ბრიგადის წევრებმა ვიქონიეთ ამ საკითხზე მსჯელობა და გადავწყვიტეთ ვთხოვოთ ჩვენს კოლმეურნეობათა გამგეობებს და რაიონის ხელმძღვანელებს, — მოგვცენ ნება სამგორის სახალხო მშენებლობაზე დარჩენისა და შეგვინარჩუნონ ის უფლებები, რითაც აქამდე ვსარგებლობდით, როგორც სამგორში დროებით სამუშაოდ წამოსულნი.**

სამგორის სახალხო მშენებლობაში მონაწილეობა ჩვენი პატრიოტული ღირსების საქმედ მიგვაჩნია“.

დასასრულ ისინი მოუწოდებენ სამგორის სახალხო მშენებლობაში მონაწილე ყველა კოლმეურნე მშენებელთ მიბაძონ მათ მაგალითს, დარჩნენ სამგორში სამუშაოდ და ამით ხელი შეუწყონ ამ დიდი მშენებლობის დანიშნულ ვადაზე დამთავრებას.

სამგორში სამუშაოდ დარჩენის ნებართვა სთხოვეს თავიანთ კოლმეურნეობათა გამგეობებს აგრეთვე ცაგერისა და საჩხერის რაიონების იმ კოლმეურნეებმა, რომლებიც სამგორში დროებით სამუშაოდ არიან მივლინებულნი და მშენებლობაზე ერთმანეთს ეჯიბრებიან.

საქართველოს მრავალი რაიონის კოლმეურნეები მუშაობენ სამგორში. ისინი უკვე საფუძვლიანად დაეუფლნენ კვალიფიციურ მშენებელთა მრავალგვარ პროფესიებს. **სწორედ ამიტომ აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა სამგორში მათ დარჩენას მთელი სამუშაოს დამთავრებამდე.** საქართველოს რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, იმ კოლმეურნეობათა გამგეობები, რომლებსაც სამგორში დროებით სამუშაოდ მივლინებული ჰყავთ კოლმეურნეები, სრული პასუხისმგებლობით უნდა მოეპყრან იმ კოლმეურნეთა პატრიოტულ თაოსნობას, რომლებიც სამგორში დარჩენის სურვილს გამოთქვამენ. პარტიულმა ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობათა გამგეობებმა ყოველმხრივ უნდა წაახალისონ ეს თაოსნობა, შეუნარჩუნონ სამგორში მოვლინებულ მშენებელ კოლმეურნეებს ის შეღავათები, რითაც ისინი დღემდე სარგებლობენ.

ამ მხრივ უსათუოდ **მისასალმებელია ცაგერის რაიონის სოფელ ლვირიშის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარისა და საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის წერილი, რომელიც მათ სამგორის მშენებლობის უფროსის სახელზე გამოგზავნეს. ისინი მიესალმებიან თავიანთი კოლმეურნეობის წევრთა ბრიგადის წარმატებას სამგორის მშენებლობაზე და აღუთქვამენ მათ ყოველმხრივ მხარდაჭერას. სასურველია ცაგერელთა მაგალითს ყველა კოლმეურნეობის გამგეობამ მიბაძოს.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ოქტომბრის პლენუმზე საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ამოცანად დაუსახა მუშახელით უზრუნველეყოთ სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა.

ამ ამოცანის განხორციელება თვითეული რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა გამგეობების საპატიო მოვალეობაა.

კვალიფიციური მუშახელით უზრუნველვყოთ სამგორის სახალხო მშენებლობა!

ქართულ ენაზე მეორედ გამოიცა ი. ბ. სტალინის ბროშურა „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე მეორედ გამოუშვა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ბროშურა **„მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“**. ბროშურა გამოცემულია დიდი ტირაჟით.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამესამე ტომი სომხურ ენაზე

ერევანი, 9 მაისი. (საქდესი). სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ სომხურ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ოცდამესამე ტომი. თარგმანი შესრულდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის სომხეთის ფილიალმა.

ჩვენს რესპუბლიკაში

★

ი. ბ. სტალინის მონუმენტი ზუგდიდში

ზუგდიდი. (საკ. კორ.). 1 მაისს ქალაქის მოედანზე შედგა მიტინგი, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის მონუმენტის გახსნისადმი. მიტინგს ესწრებოდნენ ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტ-სკულპტურას“ დირექტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი რ. ბერილოვი, მონუმენტის დამდგმელი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. თოფურიძე, მწერალი შ. დადიანი, კვარცხლბეკის არქიტექტორი ზ. ქურდიანი და სხვები.

ი. ბ. სტალინის მონუმენტი, რომელიც ზუგდიდში დაიდგა, ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებია. ბრინჯაოს ფიგურა, რომლის სიმაღლე ექვსნახევარი მეტრია, ჩამოსხმულია ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტ-სკულპტურაში“. მარმარილოს კვარცხლბეკის სიმაღლეა 9 მეტრი. კვარცხლბეკზე მოთავსებული ტრიბუნა დამშვენებულია რაიონის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ამსახველი ბრინჯაოს არქიტექტურით. მოედნის მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე გაშენებულია ბაღი, მონუმენტთან მოეწყო სკვერები, გაზონები.

პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა, რომელიც მიტინგზე გამოვიდა, აღნიშნა რაიონის მშრომელთა აქტიური მონაწილეობა მონუმენტისა და მისი მიდამოს მოწყობაში.

მიტინგის მონაწილეებს ი. ბ. სტალინის მონუმენტის გახსნა მიულოცეს ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ჯიქიამ, მწერალმა შ. დადიანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. დგებუაძემ. საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა კ. ალშიბაიამ, ინგირის ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშამ, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. შაპოშნიკოვამ, ქალაქის ქალთა პირველი საშუალო სკოლის ხუთოსანმა მოსწავლემ რ. ცხადაიამ.

მიტინგის მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ხალხთა დიდ ბელადს ი. ბ. სტალინს.

ღირსშესანიშნავი ნაგებობა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ინდუსტრიულ ქალაქს კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობა შეემატა — საექსპლოატაციოდ გადაეცა სადგურის მოედანთან შემაერთებელი კიბე. მოედნის ქვევით, იქ, სადაც ასსაფეხურიანი კიბე მთავრდება, გაიჭრა ახალი ქუჩა.

ახლადაგებული კიბე, რომლის პროექტის ავტორია არქიტექტორი შოთა ლომთაძე, ორივე მხრივ დამშვენებულია ელექტროლამპიონებით. ლამპიონთა სვეტების სიმაღლე 3 მეტრს აღწევს. კიბის შუა ნაწილი გამოყოფილია სპეციალური საყვავილე გაზონის კედლით.

★ ★ ★

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

რაც მშენებლებს აინტერესებს

არხიშენის ველზე, მთელს ქვემო სამგორში ერთადერთი პატარა, მოწანწკარე ღელის ნაპირას გაშენებულ დაბაში დაბინავებულ მშენებლებს მაისში ბევრი საზრუნავი აქვთ. უნდა მოაწყონ ბეტონის ქარხანა, ქვიშა-ხრეშის სარეცხი სადგური, ღელეში აგებულ კაშხალთან დაგუბებული წყლის ბეტონის ქარხნისათვის მისაწოდებლად უნდა გამართონ სატუმბავი, ამავე დროს უფრო გააძლიერონ მუშაობის ტემპი მაგისტრალურ არხზე და მის გაყოლებით გზატკეცილის გაყვანაზე.

ეს უნდა შეძლოს მშენებელთა მცირერიცხოვანმა კოლექტივმა, რომლის სამუშაო ფრონტი ოციოდე კილომეტრის მანძილზეა გაშლილი. არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ მშენებლები ამ ამოცანას წარმატებით შეასრულებენ. ამის საწინდარია მათი დარაზმულობა და შრომაში განმტკიცებული მეგობრობა, უახლესი მძლავრი მექანიზმების სიუხვე და განვლილი თვეების ძვირფასი გამოცდილება, აგრეთვე იმის მაღალი შეგნება, თუ რა დიდმნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ ეს ენთუზიასტები მთელი რესპუბლიკისათვის.

ეს კოლექტივი შედგება მეტწილად კოლმეურნეობებიდან ხანგრძლივ სამუშაოდ ჩამოსული მშენებლებისაგან, იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც სოფლის მეურნეობაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ და ამასთან საფუძვლიანად აითვისეს ახალი პროფესიები, გახდნენ მაღალკვალიფიციური მშენებლები. მათ აქ წამოიწყეს ახალი, ქვემო სამგორის ამ რაიონის ფართობების სასოფლო-სამეურნეო ათვისების თვალსაზრისით საინტერესო საქმე — არხიშენის დაბის მახლობლად დათესეს სხვადასხვა კულტურები, გააშენეს ბოსტნები. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მშენებლობის პარალელურად ასეთი ცდის მოხდენას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამ მიდამოებში ნათესები ჯერ არასოდეს ყოფილა. მიწა მრავალი მეტრის სიღრმეზე სრულიად გამოფიტულია და ცხადია, მოურწყავად იქ მოსავლის მოყვანის იმედი არ არის. მაგრამ წელს აქ ხშირი წვიმები იყო, თანაც მშენებლებმა მახლობელ ღელეში მშენებლობის საჭიროებისათვის წყლის მარაგის დასაგროვებლად წყალი კაშხალით შეაგუბეს. ვინაიდან ჯერჯერობით მშენებლობას წყალი მთლიანად არ ესაჭიროება, მისი გამოყენება საცდელი ნათესების მოსარწყავად სავსებით შესაძლებელია. ბოსტნეული კულტურების გარდა მუშათა ამ დაბის მახლობლად მშენებლებმა მცირე ნაკვეთებზე სიმინდი და ხორბალიც დათესეს.

მშენებლებს ესახელებათ, რომ მათი აქ ყოფნისა და მუშაობის შესახებ მთელმა რესპუბლიკამ იცის. წყალტუბოს, მარნეულის, წალკის და გორის რაიონების კოლმეურნეობებიდან მშენებლებს მოსდით თანხმობა იმაზე, რომ, რაკი სურვილი აქვთ, კვლავ დარჩნენ სამგორში ამ საშვილიშვილო საქმის დასამთავრებლად.

— მაგრამ არის გამონაკლისიც და მაინცდამაინც ამ გამონაკლისს ჩემი კოლმეურნეობა შეადგენს, — ამბობს ერთ-ერთი მოწინავე მშენებელი მიხეილ გაროზაშვილი. გაროზაშვილი მოწინავე მებეტონედ ითვლება. იგი სისტემატურად 170-200 პროცენტით ასრულებს საწარმოო დავალებებს და აქტიურად მონაწილეობს მშენებელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი შუამდგომლობის პასუხად, რომ კოლმეურნეობის გამგეობას ნება დაერთო კვლავ სამგორში დარჩენილიყო, გორის რაიონის სოფელ ნადარბაზევის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ი. საათაშვილისა და მოანგარიშე გ. კურბაშვილის ხელმოწერით მშენებლობის ხელმძღვანელებმა ასეთი მიმართვა მიიღეს: „სოფელ ნადარბაზევის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი მიხეილ იასონის-ძე გაროზაშვილი გამოგზავნილი იყო სამგორში სამუშაოდ ერთი წლის ვადით. შევიტყვეთ მას გადაუწყვეტია კვლავ დარჩეს სამგორში და ამიტომ გთხოვთ გაათავისუფლოთ იგი უკანვე წამოსასვლელად, ვინაიდან კოლმეურნეობას სჭირდება მუშახელი“.

ეს მიმართვა ყბადასაღები გახდა სხვა კოლმეურნეობებიდან ჩამოსული მშენებლებისათვის. არ ჰგვანებია თქვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩვენსას, ეუბნება გაროზაშვილს წყალტუბოელი დავით ნიქაბაძე. მან აღმაფრთოვანებელი წერილი მიიღო მისი მშობლიური ფარცხანაყანევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან. ამ წერილიდან ჩანს, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ევგენი ფხაკაძე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს სამგორის მშენებლობის მონაწილეთა ოჯახებისადმი, მხოლოდ მოითხოვს, რომ წყალტუბოელი მშენებლები მოწინავეთა რიგებში იყვნენ.

— არა უშავს რა, ჩემო მიხეილ, — ეხუმრება გაროზაშვილს გრიგოლ ცარელაშვილი, ისიც გორის რაიონიდან ჩამოსული, — შენ წახვალ და ჩვენ დავრჩებით. პირობას გაძლევთ, რომ შენს დაწყებულ საქმეს ღირსეულად დავაგვირგვინებთ!

* * *

არხიშენის დაბა უახლოეს დასახლებულ ადგილებს ძალიან დაშორებულია. უკვე მეხუთე თვეა აქ არიან მშენებლები და ამ ხნის განმავლობაში მათ ერთხელაც არ მოუსმენიათ საუბარი საერთაშორისო მდგომარეობაზე და მათთვის საინტერესო მთელ რიგ სხვა საკითხებზე, მაგალითად, სამგორის ამ კუთხის ისტორიულ წარსულზე. მუშებს აინტერესებთ, რატომ ეწოდება არხიშენი ამ ველს, როდესაც აქ არხის არავითარი ნიშანიც არ მოიპოვება, ან რით აიხსნება, რომ მათ მახლობელ მთას უცხოური სახელი ტაშია-დაღი (ქვიანი მთა) ჰქვია. კომუნიზმის დიად მშენებლობათა ამბავიც ძლიერ აინტერესებთ სამგორელებს.

ეს მხედველობაში უნდა მიიღონ სათანადო ორგანიზაციებმა და მოაწესრიგონ ამ მხრივ არა მარტო არხიშენელ, არამედ საერთოდ სამგორელთა მომსახურება.

დ. ლომთაძე

★

ახალი ხიდი მდინარე ბესლეთზე

სოხუმი. (საკ. კორ.). სოხუმში, იქ, სადაც მდინარე ბესლეთი შავ ზღვას ერთვის, აშენდა ახალი ხიდი, რომელიც დამშვენებულია თუჯის მოაჯირით, ელექტროლამპიონებით, მოპირკეთებულია რუხი გრანიტით. წინათ არსებულ ხიდთან შედარებით ახალი ხიდი განიერი, არქიტექტურულად ლამაზი ნაგებობაა. ხიდის პროექტის ავტორია არქიტექტორი ზ. თავართქილაძე.

ახალი ხიდი გაიხსნა 9 მაისს — გამარჯვების დღეს. ამასთან დაკავშირებით გაიმართა ქალაქის მშრომელთა მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ. მან მიულოცა ქალაქის მშრომელთ ახალი კეთილმოწყობილი ხიდის აგება და მადლობა გადაუხადა მშენებლებს.

მშენებლების სახელით სიტყვა წარმოთქვა ლ. ნეფარიძემ, ხოლო ქალაქის მშრომელთა სახელით ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის სტახანოველმა ელ. ზარქუამ.

ხიდის მშენებლობის აქტიური მონაწილენი დააჯილდოვეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით.

ლოპოტის მარმარილოს პირველი პარტია

თელავი. (საკ. კორ.). ლოპოტის მარმარილოს კარიერების სამმართველომ (მმართველი ალ. ვარდოშვილი) წელს შარშანდელთან შედარებით ერთი თვით ადრე დაიწყო მუშაობა. ამოღებული და გაგზავნილია პირველი 55 კუბმეტრი მარმარილო.

ლოპოტის მარმარილოს კარიერების სამმართველომ წელს 1.100 კუბმეტრი მარმარილო უნდა გაგზავნოს მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. შარშან კი მხოლოდ 230 კუბმეტრი გაიგზავნა. გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად მარმარილოს კარიერებამდე გაჰყავთ საავტომობილო გზა. ხორციელდება აგრეთვე სამუშაოთა მექანიზაცია. კარიერის 100 მუშისათვის აგებენ საერთო საცხოვრებელს.

ფიქალის წარმოება განახლდა

ყვარელი. (საკ. კორ.). სოფელ საბუეში ფიქალის წარმოება რამდენიმე წლის წინათ შეწყვიტეს. მიმდინარე წლის დასაწყისში ფიქალის წარმოება განახლდა.

ლოპოტის მარმარილოს კარიერების სამმართველომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში შიფერის, ტოლისა და პლასტიკების წარმოებისათვის 10.000 ტონა ფიქალი უნდა გაგზავნოს. ეს დავალება წარმატებით სრულდება. მარტო პირველ კვარტალში 5.000 ტონაზე მეტი ფიქალი გაიგზავნა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საზანოს № 194 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39, 40 და 41 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საზანოს № 194 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **სირაძე** იონა პავლეს-ძე — თერჯოლის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **გოგბერაშვილი** ზინა ისიდორეს ასული — სოფელ თუზის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **თურქაძე** სევერიანე ალექსანდრეს-ძე — თერჯოლის რაიონის პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

კაპანაძე ოლღა სიმონის ასული — დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ზედა საზანოს საშუალო სკოლის ორგანიზაციისაგან;

სუთიძე ივანე სარდიონის-ძე — სოფელ თუზის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

ზარნაძე ქეთევან გიორგის ასული — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის სოფელ ზედა ალისუბნის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი ორგანიზაციისაგან;

წულუკიძე ზურაბ ალექსანდრეს-ძე — თერჯოლის რაიონის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირისაგან;

ცხელიშვილი დიდიმ ბეგლარის-ძე — სოფელ ზედა საზანოს თ. ჩუბინიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან;

ბუგუმბერიძე ვერა გერასიმეს ასული — ქვედა ალისუბნის 8-წლიანი სკოლის პედკოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი. 1951 წ. 11 მაისი.

მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

ბოტვინიკმა შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება

11 მაისს ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ბოტვინიკ-ბრონშტეინის მატჩის უკანასკნელი, 24-ე პარტია. ამ შეხვედრაზე ორივე მოწინააღმდეგე მოვიდა ქულების თანაბარი რაოდენობით. ასეთი დაძაბული მდგომარეობა ჯერ კიდევ არ ყოფილა მსოფლიო პირველობაზე ბრძოლის ისტორიაში.

ბოტვინიკისათვის საკმაო იყო პარტიის ყაიმით დამთავრება, რათა შეჯიბრების პირობების მიხედვით შეენარჩუნებინა მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო წოდება. ბრონშტეინს, რომელიც თეთრებით თამაშობდა, უნდა მოეგო ეს პარტია, რომ მოეპოვებინა ეს წოდება.

ბოტვინიკმა თამამად მიიღო თეთრების გამოწვევა და აირჩია დაცვის სლავური სისტემა, რომელიც მის სახელს ატარებს. ეს ვარიანტი ერთ-ერთი ყველაზე რთული და მწვავე ვარიანტია თანამედროვე ჭადრაკის თეორიაში. მეექვსე სვლაზე ბრონშტეინმა ხელი აიღო ბოტვინიკის სისტემის გაგრძელებაზე. ოთხი სვლის შემდეგ თეთრებმა შესწირეს პაიკი, ამის შედეგად წინ გაუსწრეს შავებს სვლების განვითარებაში.

თეთრების იერიში საშიშრად იზრდებოდა: ბოტვინიკი, ინარჩუნებდა რა ზედმეტ პაიკს, მშვიდად იცავდა თავს. ერთიც და მეორეც დიდ დროს ანდომებდა მოფიქრებას. საკმაოა ითქვას, რომ მეექვსე სვლაზე ბოტვინიკმა იფიქრა 23 წუთი, ხოლო ბრონშტეინმა მეთხუთმეტე სვლაზე—40 წუთი.

დაძაბულობა შენელდა მე-19 სვლაზე. თეთრების სუსტი სვლის პასუხად ბოტვინიკმა დროებით ეტლი შესწირა კუს. შემდეგ შავებმა დაიბრუნეს ხარისხი და ძირითადი შემტევი ფიგურების გაცვლის შედეგად თეთრების ინიციატივა ამოიწურა.

22-ე სვლისათვის ორივე მხარეს გარდა პაიკებისა რჩებოდათ ლაზიერები, თითო ეტლი, კუ და მხედარი. ბოტვინიკს ჰქონდა ზედმეტი პაიკი და გარდუვალი იყო ფიგურების შემდგომი გაცვლა და გამარტივება. შავების უპირატესობა თვალსაჩინო გახდა და ამ მომენტში ბოტვინიკის წინადადებით ბრონშტეინი ყაიმზე დათანხმდა.

ამგვარად, ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მატჩი მსოფლიოს ჩემპიონ ბოტვინიკისა და ამ წოდების პრეტენდენტ ბრონშტეინს შორის დამთავრდა ფრედ, ანგარიშით 12 : 12. მატჩის პირობების მიხედვით მსოფლიოს ჩემპიონმა ბოტვინიკმა შეინარჩუნა თავისი წოდება. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

მაღალიდეური, ქმედითი აგიტაციისათვის

საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკური თათბირის მიმართვის საფუძველზე პარტიის ზუგდიდის რაიკომის მიერ მოწყობილი სამეცნიერო-პოპულარული კონფერენციის მონაწილეებმა — რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებმა — მიიღეს მიმართვა რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი და ახალი ვალდებულებანი იკისრეს 1951 წელს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გააჩაღეს.

საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით საგიტაციო-მასობრივი მუშაობა კარგად არის მოწყობილი სოფელ რიყის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში. პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე სისტემატურად იხილავენ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხებს, სახავენ ღონისძიებებს და იბრძვიან მათი შესრულებისათვის. აგიტკოლექტივის სემინარები ემსახურებიან აგიტატორთა იდეური ზრდისა და მეთოდური დახელოვნების საქმეს, ეწყობა აგიტატორთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება. აგიტატორები ა. ჯოჯუა, დ. ივარდავა, თ. ვეკუა, ტ. სიორდია თავიანთი საუბრებით რაზმავენ კოლმეურნეებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა შესრულებისათვის. საუბრებს ისინი მოხდენილად უკავშირებენ კოლმეურნეობის ცხოვრებიდან აღებულ კონკრეტულ, ცოცხალ ფაქტებს.

მეორე წელია, რაც კომუნისტი აგროტექნიკოსი ა. ჯოჯუა კოლმეურნეობის პირველ ბრიგადაში ეწევა აგიტაციას. მისი საუბრები გამოირჩევა მაღალი იდეურობით, თემის სიახლით, დამაჯერებლობით. ერთ-ერთი მეცადინეობის დროს მან თავის მსმენელებს მოაგონა, რომ მეზობელ სოფელ ჩხორიამდე, სადაც პირველი ბრიგადის ფართობებია, მისასვლელი გზა უვარგისი იყო და ამ გზის შეკეთების საკითხი დააყენა. აგიტატორის წინადადებას მხარი დაუჭირეს ბრიგადის წევრებმა, ეს საკითხი კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა წინაშე დასვეს, და გზა მოკლე ხანში შეაკეთეს. აგიტატორი კარგად ხელმძღვანელობს საველე გაზეთის გამოშვებას. ეს გაზეთი კარგ დახმარებას უწევს ბრიგადას.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობის კარგად დაყენების შედეგად პირველი ბრიგადა მოწინავეა კოლმეურნეობაში. ბრიგადამ დროზე გადაბარა და გასხლა მიჩენილი 20,5 ჰექტარი ჩაის ფართობი, ვადამდე შეიტანა ფოსფოროვანი სასუქი, გაწმინდა 2.000 მეტრი სადრენაჟო არხი, მოხნა 25 ჰექტარი სიმინდის სათესი ფართობი, აითესა 4 ჰექტარი ყამირი, ამასთან იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 15.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 35 ცენტნერი სიმინდი.

საკოლმეურნეო შრომაში მისაბაძ მაგალითს იძლევიან ამ ბრიგადის კოლმეურნეები მიხეილ და ავქსენტი ლიპარტიები, ო. ქუხილავა და ს. ჰიჭინაძე. ისინი ყოველდღიურ გეგმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

სოფელ ცაიშის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოები მაღალხარისხოვნად და დროულად შეასრულეს. ვადამდე გადაბარეს 85 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, შეიტანეს სასუქი, შემობარეს 28 ჰექტარი ტუნგის ნარგავი, გააშენეს 800 ძირი ხეხილი და 600 ძირი თუთის ხე, დათესეს 200 ჰექტარი სიმინდი.

ამ წარმატებას ხელი შეუწყო საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებამ, რასაც კარგად ხელმძღვანელობს პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ნ. მიქავა). კოლმეურნეობაში 30-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე მუშაობს. ისინი კოლმეურნეებს აცნობენ მეოთხე სტალინური ხუთწლედის შესრულების შედეგებს, პარტიისა და მთავრობის ზრუნვას მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისათვის, ესაუბრებიან შრომის მოწინავე მეთოდებზე, საბჭოთა ადამიანების წარმატებებზე, საერთაშორისო ვითარებაზე და სხვ.

კოლმეურნეებთან საგიტაციო საუბრებს მაღალ იდეურ დონეზე აწყობს საშუალო სკოლის მასწავლებელი, მეხუთე ბრიგადის აგიტატორი ი. ჯანაშია. მისი აგიტაცია კონკრეტულია, მჭიდროდ არის დაკავშირებული ადგილობრივ ამოცანებთან. წელს მან 40 საუბარი გამართა.

მეხუთე ბრიგადაში ჩაის მკრეფავები ზინა ქირია და მ. სონგულია სისტემატურად აცდენდნენ სამუშაოს. ამის შედეგად ბრიგადა ჩაის კრეფის გეგმას ვერ ასრულებდა. აგიტატორმა მოამზადა საუბარი თემაზე: „შრომა ჩვენში ღირსებისა და დიდების საქმეა". საუბარში აგიტატორმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საკოლმეურნეო შრომისათვის თავის არიდება უღირსი საქციელია, რომ შრომა ჩვენს ქვეყანაში დიდებითაა მოსილი, მშრომელი ადამიანი ყველაზე დაფასებულია. საუბარმა და ყოველდღიურმა დახმარებამ კარგი შედეგი გამოიღო. ახლა ბრიგადაში შრომის დისციპლინა მტკიცეა.

მეხუთე ბრიგადა მოწინავეა კოლმეურნეობაში. აქ აგროწესების ზუსტი დაცვით სიმინდისათვის მოამზადეს 17 ჰექტარი ფართობი. წესიერადაა მოვლილი 12,5 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. ბრიგადამ 2 ათასი კილოგრამის ნაცვლად 3 ათასი კილოგრამი ლაო ჩაი დაამზადა.

კარგად მუშაობენ აგრეთვე აგიტატორები დ. ციკოლია (მეორე ბრიგადა), შ. ქირია (მეთერთმეტე ბრიგადა), ბ. ქირია (მეოთხე ბრიგადა) და ს. თოდუა (მეშვიდე ბრიგადა).

მაგრამ კოლმეურნეობაში ყველა აგიტატორი როდი დგას მოწოდების სიმაღლეზე. მე-8 ბრიგადის აგიტატორი ლ. შამუგია სისტემატურად არ აწყობს საუბრებს, ამასთან ჩატარებული საუბრების იდეური დონე დაბალია, რაც აგიტატორის სუსტი პოლიტიკური მომზადებით აიხსნება. იგი ვერ ერკვევა პარტიისა და მთავრობის პოლიტიკაში, საერთაშორისო მდგომარეობის ელემენტარულ საკითხებში. პარტიულ ორგანიზაციას მოეთხოვება გააძლიეროს ზრუნვა აგიტატორების იდეური დონის ამაღლებისათვის.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით საგიტაციო-მასობრივ მუშაობას უნარიანად წარმართავს სოფელ ჭითაწყაროს კოლმეურნეობის „ლენინის გზით" პარტორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ა. ქვარაია). აქ აგიტსემინარებზე მოწინავე აგიტატორები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.

შარშან კოლმეურნეობაში მესამე ბრიგადა ჩამორჩებოდა. აქ 37 ათასი კილოგრამის ნაცვლად 32 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს, დაბალი იყო სიმინდის საშუალო მოსავლიანობა. ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი ცუდად მოწყობილი პოლიტიკური აგიტაცია იყო. პარტბიუროს მდივანმა ამხ. ა. ქვარაიამ კარგად გაითვალისწინა ეს მდგომარეობა. მან ამ ბრიგადაში აგიტატორობა მასწავლებელ კომუნისტ ა. ცანავას მიანდო.

ა. ცანავამ გულმოდგინედ შეისწავლა ბრიგადის ყველა წევრის საქმიანობა, დარწმუნდა, რომ კოლმეურნეების პ. გოროზიას, ვ. მოსიას და პ. ქვარაიას უდისციპლინობა საფრთხეს უქმნიდა ბრიგადის მიერ ჩაის გასხვლისა და გადაბარვის გეგმის დროულად შესრულებას. ამ საკითხს მან პირველივე საუბარი მიუძღვნა, ილაპარაკა ბრიგადის ამოცანებზე და აღნიშნა, რომ ბრიგადა იმ შემთხვევაში შეძლებდა მოწინავეთა რიგებში ჩადგომას, თუ ყველა მისი წევრი ენერგიულად იმუშავებდა. აგიტატორმა დააყენა საკითხი, რომ მოეწყოთ ბრიგადის წევრთა ურთიერთდახმარება. ასეც მოხდა. ლ. დავითაიამ, მ. დავითაიამ, გ. ანთიამ და სხვებმა იკისრეს დახმარებოდნენ ჩამორჩენილ ამხანაგებს. მიღებული ღონისძიებების შედეგად მესამე ბრიგადამ 13,4 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში ვადამდე პირველმა დაამთავრა ჩაის გასხვლა და გადაბარვა, მოხნა 13 ჰექტარი ფართობი მარცვლეულისათვის, მთლიანად შემოღობა სასიმინდე ნაკვეთები და ჩაის პლანტაციები, გაწმინდა სადრენაჟო არხი.

კოლმეურნეობაში კარგად მუშაობენ აგრეთვე აგიტატორები ო. ჯანაშია და მ. მალაზია. მათ ყოველდღიურ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევს პარტბიურო.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, რაიონის ზოგიერთ საკოლმეურნეო პირველად პარტორგანიზაციას საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ გარდაუქმნია საგიტაციო-მასობრივი მუშაობა.

სოფელ ოდიშის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. სუსტად მუშაობს აგიტკოლექტივი (პარტბიუროს მდივანი ვ. სართანია). აქ აგიტატორებს არ ხელმძღვანელობენ, რის შედეგადაც აგიტატორები უმოქმედობას იჩენენ. სუსტად მუშაობენ კომკავშირელი აგიტატორები გ. კირთაია და ა. დარსანია. მათ არ ეხმარება აგიტკოლექტივი. მართალია, პარტბიუროს სხდომებსა და პარტიულ კრებებზე ხშირად მსჯელობენ საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებულ საგიტაციო მუშაობის საკითხებზე, გამოაქვთ დადგენილებანი, მაგრამ იმის გამო, რომ არ ზრუნავენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებისათვის, მდგომარეობა გამოუსწორებელი რჩება.

პარტიის ზუგდიდის რაიკომი ცუდად როდი ხელმძღვანელობს და ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მოწყობის საქმეში, მაგრამ ეს ხელმძღვანელობა და დახმარება შემდგომ გაძლიერებას საჭიროებს. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ ყველა კოლმეურნეობაში მოწოდების სიმაღლეზე იდგეს ბოლშევიკური აგიტაცია.

ი. მამალაძე

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

ვენახების გაშენება შპალერებად

სტალინირი. (საკ. კორ.). მოწინავე მევენახეები თავდადებით შრომობენ ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის. სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში საუკეთესოდ უვლიან ვენახს. ვენახების დიდი ნაწილი შპალერებად არის გაშენებული. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად გააადვილა მევენახეთა შრომა. კოლმეურნეებმა ვენახში დროულად შეიტანეს 200 ტონაზე მეტი ორგანული სასუქი. აგროწესების დაცვით შესრულდა ვაზის გასხვლა, რიგთა შორის ნიადაგის დამუშავება, შეყელვა. მევენახეობის ბრიგადამ საკმაო რაოდენობით მოიმარაგა შესაწამლი მასალა. მაღალნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან მევენახეები ლადო ნასუაშვილი, დათა დათაშვილი, სოსო გოგიძე, ლევან დათაშვილი და სხვ.

თამარაშნელ მევენახეთა პირობაა — თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 100 ცენტნერი ყურძენი. ამ ვალდებულების განაღდებისათვის ისინი სასახელოდ შრომობენ.

ვენახებს კარგად უვლიან აგრეთვე სოფელ აჩაბეთის ჩარკვიანის სახელობის, სოფელ ქურთას მალენკოვის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში. აჩაბეთში და ქურთაში წელს ვენახების დიდი ნაწილი შპალერად გააშენეს და ამით უკეთ მოაწყეს ვაზის მოვლა-პატრონობა.

ათობით ჰექტარი ვენახი გაშენდა შპალერებად ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობებში. ამ მხრივ კარგად იმუშავეს ყანჩაეთის ბერიას, ახალდაბის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობებში, წირქოლის კოლმეურნეობა „შრომაში".

ნატანების ჩაის ფაბრიკაში

მახარაძე. (საკ. კორ.). ნატანების ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. გ. გოგუაძე) შარშან მნიშვნელოვანი წარმატებით დაასრულა სამეურნეო წელი, მიიღო და გადაამუშავა 1.863.300 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. წელსაც ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა სეზონს. უკვე მოხდა მთავარი კორპუსის რეკონსტრუქცია — ხის დროებითი კედლები შეიცვალა კაპიტალური კედლებით, 150 კვადრატული მეტრით გაფართოვდა დამხარისხებელი საამქრო, 120-120 კვადრატული მეტრი შეემატა მზა პროდუქციის საწყობს და ჩაის ფოთლის მიმღებ პუნქტს. აგებულ იქნა მომხალავი საამქროს შენობა და მოსაცდელი ოთახი.

ფაბრიკაში დიდი ყურადღება ექცევა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას — დაიდგა დაორთქლილი ფოთლის ლუმელებზე გადასაცემი ლენტისებური ტრანსპორტიორი. ასეთივე ტრანსპორტიორი დაიდგა სახმობი საამქროდან შემშრალი ფოთლის საგრეხ საამქროში გადასატანად.

უკვე დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კეთილმოწყობილი საბავშვო ბაგისა და ბაღისათვის განკუთვნილი შენობა, მთავრდება სასმელი წყლის გამოყვანა 2 კილომეტრ მანძილიდან.

„კომუნისტის" მკითხველთა რაიონულ კრებაზე

თელავი. (საკ. კორ.). პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის კრებას, რომელიც მიეძღვნა ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღეს, დაესწრნენ კოლმეურნეები, რაიონის საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მასწავლებლები.

კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. რ. გობეჯიშვილმა.

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღისა და პრესის მუშაკთა მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთ „კომუნისტის" კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილების გამგემ ამხ. ბ. თათარიშვილმა.

თელავის რაიონული გაზეთის „კოლმეურნის ხმის" პასუხისმგებელმა რედაქტორმა ამხ. გ. კირვალიძემ თავის სიტყვაში აღნიშნა: გაზეთი „კომუნისტი" ფართოდ აშუქებს სოფლის მეურნეობის საკითხებს. ჩემი აზრით, ამ საკითხთა შორის საჭიროა მეტი წერილები იბეჭდებოდეს მარცვლეული კულტურების და, კერძოდ, ხორბლის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებზე.

ამხ. გ. კირვალიძემ სურვილი გამოთქვა გაზეთ „კომუნისტში" უფრო ხშირად იბეჭდებოდეს წერილები ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობაზე.

თელავის მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. სირბილაძემ გამოთქვა აზრი, რომ გაზეთმა „კომუნისტმა" თავის ფურცლებზე უფრო სრულყოფილად აჩვენოს საბჭოთა მეურნეობების მუშაობა, სისტემატურად დაბეჭდოს სპეციალისტების წერილები მევენახეობა-მეღვინეობის საკითხებზე.

პარტიული მუშაობის გამოცდილების უფრო სრულყოფილად განზოგადებაზე, წიგნის პროპაგანდაზე, უცხოეთის ქვეყნების ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვების უფრო ხშირად ბეჭდვაზე, მკითხველთან უფრო ცოცხალი კავშირის დამყარების აუცილებლობაზე ილაპარაკეს ამხანაგებმა შ. ყარაულაშვილმა (თელავის აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის მთავარი ინჟინერი), გ. პაპავამ (რაიაღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განყოფილების გამგე), ნ. იარალოვმა (თელავის კულტურის სახლის დირექტორი) და ა. გვენცაძემ (თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი).

დუშეთი. (სპეც. კორ.). ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ტრადიციულ დღესთან დაკავშირებით დუშეთში შედგა გაზეთ „კომუნისტის" მკითხველთა კრება რაიონის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის მონაწილეობით.

მკითხველთა კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ალ. ბექაურმა. მოხსენება თემაზე „ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღე და ჩვენი ამოცანები" გააკეთა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის წარმომადგენელმა ამხ. პ. ბახტურიძემ.

მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ პარტიული კაბინეტის გამგე ამხ. აკ. წერეთელი, რაიონული გაზეთის „სტალინური გზით" რედაქტორი ამხ. გ. ხოტიკაშვილი, დუშეთის პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორი ამხ. ნინო როსტიაშვილი, კომკავშირის დუშეთის რაიკომის მდივანი თ. დუდაური, გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი დუშეთის რაიონში ამხ. ა. თომაძე. პრესის დღისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლემ გ. შეთეკაურმა.

სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს ის უდიდესი ინტერესი, რასაც რაიონის მშრომელები იჩენენ ბოლშევიკური პრესისადმი. მიღწევებთან ერთად ისინი აღნიშნავდნენ ნაკლოვანებებს, რასაც ჯერ კიდევ ხვდება მკითხველი ჩვენი გაზეთების, კერძოდ, გაზეთ „კომუნისტის" მუშაობაში. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მათ წამოაყენეს საქმიანი წინადადებანი. ისინი საჭიროდ თვლიან, რომ „კომუნისტის" ფურცლებზე მეტი რაოდენობით იბეჭდებოდეს პროპაგანდისტული ხასიათის წერილები, კონსულტაციები, პასუხი შეკითხვებზე. გაზეთმა მეტი ადგილი უნდა დაუთმოს მეთოდური შინაარსის წერილებს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების დასახმარებლად. გაზეთს შეუძლია უფრო ფართოდ გააცნოს მკითხველს კოლმეურნეობებში მომუშავე აგიტატორთა გამოცდილება. მეტი ყურადღება სჭირდება აგრეთვე ახალგაზრდობაში ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის, ახალი, კომუნისტური მორალის, საყოფაცხოვრებო საკითხების გაშუქებას.

საჭიროა, — განაცხადეს ამხანაგებმა, — რომ „კომუნისტმა" უფრო ხშირად წეროს უხვი მოსავლის ოსტატების, მოწინავე მეცხოველეების, მწყემსების, მწველავ ქალთა მუშაობაზე, მიჩურინული მეთოდების დანერგვაზე, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების დარგში მიღწეულ წარმატებებზე.

რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა

ქედა. (საკ. კორ.). სულ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება მთაგორიანი ქედის რაიონული ცენტრი. შარშან „აჭპესიდან" რაიონის ცენტრამდე კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით გაყვანილ იქნა ელექტროხაზი, მოეწყო ორი ქვესადგური. ამჟამად რაიონის ცენტრი მთლიანად ელექტროფიცირებულია.

ქედაში 275 მეტრზე მოეწყო კაპიტალური ღობე; გაკეთდა გაზეთის სტენდი-ვიტრინა მხატვრულად გაფორმებული კოლონადით; კაპიტალურად შეკეთდა აბანო, სასტუმროში მოეწყო კანალიზაცია. შარშანვე დაიწყო 24-ოთახიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. გაიხსნა „საქწიგნის" ახალი მაღაზია.

რაიონული ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები უფრო ფართოდ გაჩაღდა წელს. უკვე დამთავრდა ქუჩების მთლიანი განათება მხატვრულად გაფორმებული ლითონის ბოძებით, სამი კილომეტრის მანძილზე ქუჩები მოასფალტდება. მოხდება მერისის ქუჩის რეკონსტრუქცია.

დიდი სამუშაოები განხორციელდება აჭარისწყლის სანაპირო ქუჩის კეთილმოსაწყობად, რაზეც 50 ათასი მანეთი დაიხარჯება. წელსვე აღდგენილ იქნება მთავარი ასასვლელი კიბე და ბარიერი, მოეწყობა ფიზკულტურის ახალი დარბაზი.

რაიონის ცენტრში ყოველწლიურად ირგვება ასობით დეკორაციული მცენარე და ხეხილი.

ბავშვებს — კარგი წიგნი

ლენინ-სტალინის დიადი იდეებით გაცისკროვნებული დიდი საბავშვო ლიტერატურის შექმნა საბჭოთა კულტურის მნიშვნელოვანი მიღწევაა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში ბავშვებისათვის გამოიცა ბევრი კარგი, იდეური, ჭეშმარიტად მხატვრული წიგნი. ისინი მკითხველს აღუძრავენ ნათელ აზრებს, უნერგავენ ძლიერ, კეთილშობილურ გრძნობებს, მისწრაფებას — მთელი ძალღონით ემსახუროს ხალხს.

ჩვენი ბავშვების მსოფლმხედველობისა და ხასიათის ჩამოყალიბებაში, საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობის დანერგვის საქმეში დიდი როლი შეასრულეს ისეთმა წიგნებმა, როგორიცაა ა. მაკარენკოს „პედაგოგიური პოემა" და „ალმები კოშკებზე", ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი", ა. გაიდარის ნაწარმოებნი, ვ. მაიაკოვსკის საბავშვო ლექსები.

დიდი სამამულო ომის ბევრი გმირის დღიურებიდან და წერილებიდან ვიცით, თუ როგორ ეხმარებოდა მათ ყრმობიდანვე წიგნი, როგორ აღაფრთოვანებდა საგმირო საქმეებისათვის საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საბჭოთა მწერლებმა ამ უკანასკნელ წლებში შექმნეს ათობით კარგი წიგნი, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვების აღზრდას კომუნიზმის სულისკვეთებით. ამ ნაწარმოებთაგან საუკეთესოები აღინიშნა სტალინური პრემიებით. იმ მწერალთა რიგებს, რომლებიც ბავშვებისათვის წერენ, ემატებიან ახალი ძალები.

სიყვარულით და მზრუნველობით მუშაობენ საბავშვო წიგნის გაფორმებაზე საუკეთესო მხატვრები. მშვენიერი ილუსტრაციები შექმნეს კუკრინიქსებმა, დ. შმარინოვმა, ნ. ჟუკოვმა, ბ. დეხტერევმა, ვ. შჩეგლოვმა, ა. პახომოვმა, ვ. ლებედევმა და საბჭოთა ფერწერისა და გრაფიკის სხვა თვალსაჩინო ოსტატებმა.

მაგრამ საბჭოთა ადამიანებს ოდნავაც ვერ დააკმაყოფილებს ის ფაქტი, რომ ჩვენმა საბავშვო ლიტერატურამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა. მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საპატიო და პასუხსაგები ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვენ საბავშვო ლიტერატურის იდეურ-მხატვრული დონის შემდგომ ამაღლებას.

ჩვენი საზოგადოებრიობა სამართლიანად აკრიტიკებს ბავშვებისათვის განკუთვნილ ბევრ წიგნს, მწერალთა და მხატვართა შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობას იმის გამო, რომ ისინი ჯეროვნად ვერ აფასებენ საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობას. არსებითი ნაკლოვანებანი აღნიშნულია აგრეთვე საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის, ზოგიერთი საბავშვო გაზეთისა და ჟურნალის მუშაობაში. ამ დარგში კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს ახალი წიგნების შექმნას, რომლებიც ამდიდრებენ საბჭოთა ბავშვების — კომუნიზმის მომავალი აქტიური მშენებლების აზრს, გრძნობასა და ცოდნას.

კომუნისტურ პარტიას არაერთგზის აღუნიშნავს ლიტერატურის უდიდესი როლი ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ჯერ კიდევ 1941 წელს დაგმო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სკოლისა და პედაგოგიკისაგან ლიტერატურის მოწყვეტის მცდარი გზა, რაც ერთ დროს შემჩნეული იყო საბავშვო ლიტერატურაში. მაშინ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიგვითითა, რომ საბავშვო ლიტერატურის გამოცემა უნდა ხდებოდეს მეცნიერულ-პედაგოგიურ საფუძველზე და დაექვემდებაროს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითს ამოცანებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე მოცემულია მთელი საბჭოთა ლიტერატურის, ამასთანავე საბავშვო ლიტერატურის შემდგომი განვითარების პროგრამა. ამ გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ძალით არის ხაზგასმული ლიტერატურის როლი კომუნისტური აღზრდის საქმეში. „საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა, — აღნიშნულია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში ჟურნალების „ზვეზდისა" და „ლენინგრადის" შესახებ, — ის არის, რომ დაეხმაროს სახელმწიფოს ახალგაზრდობის სწორად აღზრდაში, უპასუხოს მის მოთხოვნილებებს, აღზარდოს მხნე ახალი თაობა, რომელსაც სწამს თავისი საქმე, არ ეშინია დაბრკოლებებისა და მზად არის გადალახოს ყოველი დაბრკოლება".

ეს ამოცანები მთელი სიგრძე-სიგანით დგას საბავშვო ლიტერატურის წინაშე. საჭიროა საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა ავიყვანოთ ახალ, იდეურად და მხატვრულად უფრო მაღალ საფეხურზე.

ლიტერატურის მოვალეობაა ნიჭიერად, წარმტაცად, მხატვრული ფორმით უამბოს ბავშვებს ლენინ-სტალინის პარტიის გმირულ ბრძოლაზე, ჩვენს დიდ ხალხზე, საბჭოთა სამშობლოს სახელოვან რევოლუციურ წინსვლაზე კომუნიზმისაკენ.

ლიტერატორთა მოვალეობაა მართლად და წარმტაცად უამბონ საბჭოთა ბავშვებს კომუნიზმის დიად მშენებლობათა შესახებ, საბჭოთა ქვეყანაში ბუნების გარდაქმნის, ჩვენი სამშობლოს ხალხთა ძმური მეგობრობის, სხვა ქვეყნებში დემოკრატიული ძალების ზრდისა და დარაზმვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის საბჭოთა ადამიანების თანმიმდევრული ბრძოლის, სტალინური ხუთწლედების, დიდი სამამულო ომისა და მისი გმირების — დიადი სტალინური ეპოქის ადამიანების შესახებ.

ჩვენს ბავშვებს სურთ წიგნებში იხილონ პიონერთა, კომკავშირელთა, შრომისა და წარმოების ფრიადოსანთა სახეები, რომლებიც მათთვის მაგალითი იქნება.

ბევრი საბავშვო ნაწარმოების არსებითი ნაკლი ის არის, რომ მოზრდილთა სახეებს იქ მიკუთვნებული აქვს მხოლოდ დამხმარე როლი და ეს სახეები საკმაო სიღრმით არ არის გაშუქებული. ეს ხელს უშლის ცხოვრების მართლად წარმოსახვას.

ბავშვებისათვის ყველაზე მომხიბვლელი ჟანრია მეცნიერულ-პოპულარული, მეცნიერულ-ფანტასტიკური ლიტერატურა, სათავგადასავლო ლიტერატურა. ამ ჟანრის განვითარებას ის უშლის ხელს, რომ ავტორები ყოველთვის ღრმად როდი აშუქებენ მეცნიერულ საკითხებს, ნაკლებად აქცევენ ყურადღებას გმირთა სრულფასოვანი სახეების შექმნას, შეაქვთ ნაწარმოებში ყალბი დამაინტერესებლობის ელემენტები.

საბავშვო ლიტერატურა მთელი საბჭოთა ლიტერატურის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მაგრამ ზოგი მწერალი და კრიტიკოსი დღემდე ისე ფიქრობს, რომ ბავშვებისათვის ლიტერატურული მუშაობა მეორეხარისხოვანი საქმეა.

ჩვენს საბავშვო ლიტერატურას მშვენიერი ტრადიციები აქვს. დიდი რუსი პროზაიკოსები, პოეტები და კრიტიკოსები დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავიანთი დროის საბავშვო ლიტერატურას. ჩვენ ვიცით, თუ რა სიყვარულით, რა ინტერესით კითხულობენ ბავშვები პუშკინის ზღაპრებს, ტოლსტოის მოთხრობებს, ნეკრასოვის ლექსებს, კოროლენკოს მოთხრობებს, გოგოლის, ჩეხოვის, ტურგენევისა და სხვა გამოჩენილი რუსი მწერლების ნაწარმოებებს. საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებელი ა. მ. გორკი, რომელიც განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენდა კარგი საბავშვო წიგნების შექმნისათვის, წერდა: „საბავშვო წიგნების თემების საკითხი, ცხადია, ბავშვთა სოციალური აღზრდის გზის საკითხია".

საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის XIII პლენუმმა კრიტიკულად შეაფასა ჩვენი საბავშვო ლიტერატურის მდგომარეობა და დასახა მისი შემდგომი განვითარების გზები. მას შემდეგ ერთ წელიწადზე მეტი გავიდა. მაგრამ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას საბავშვო ლიტერატურის საკითხები დღემდე არ დაუყენებია თავისი ყურადღების ცენტრში. ბევრი თვალსაჩინო მწერალი, რომელიც მოზრდილთათვის წერს, განზე უდგას საბავშვო ლიტერატურის შექმნას და არავითარ მონაწილეობას არ იღებს იმ ლიტერატორთა მუშაობის განხილვაში, რომლებიც ამ დარგში მოღვაწეობენ. მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ჟურნალებში არ ჩანს კვალიფიციური მიმოხილვები, ერთობ იშვიათად იბეჭდება საბავშვო წიგნების რეცენზიები.

საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილია უაღრესად ხელშემწყობი პირობები. საბჭოთა სახელმწიფო ძალებსა და სახსრებს არ იშურებს ამ უმნიშვნელოვანესი საქმისათვის. ჩვენში განხორციელებულია არა მარტო საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება, არამედ შემოღებულია საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი სწავლება. ნორჩ მკითხველთა რიცხვი განუზომლად გაიზარდა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, ბავშვების გემოვნება, მისწრაფება და მოთხოვნილებანი უფრო ღრმა და უფრო ფართო გახდა. საჭიროა განსაკუთრებით ვიზრუნოთ იმისათვის, რომ საუკეთესო საბავშვო წიგნების კარგი ლიტერატურული თარგმანები გამოიცეს ხალხთა ყველა ენაზე.

საბჭოთა მწერლების კავშირის სერიოზული ამოცანაა საბავშვო ლიტერატურის ასპარეზზე აქტიურ მუშაობაში ჩააბას გამოცდილი ოსტატები, ენერგიულად შეუწყოს ხელი ახალი ლიტერატურული ძალების მოზიდვას, უზრუნველყოს ახალ ნაწარმოებთა პრინციპული კრიტიკა, მზრუნველობით დაეხმაროს ყოველივე ახალგაზრდულს, ნიჭიერს, მოწინავეს ზრდას.

მწერლები, რედაქტორები და კრიტიკოსები მოწოდებული არიან გადაჭრით იბრძოლონ საბავშვო ლიტერატურაში ყოველგვარი იდეოლოგიური წუნდებული ნაწარმოების წინააღმდეგ, ხალტურის წინააღმდეგ, იბრძოლონ საბავშვო ლიტერატურის მაღალი იდეურობისა და ოსტატურობისათვის, ენის სიწმინდისა და გამომსახველობისათვის, სხვადასხვა ასაკის, კერძოდ, სულ მცირე ასაკის ბავშვთა წიგნების გაფორმების მაღალი ხარისხისათვის.

შევქმნათ მეტი კარგი და მრავალფეროვანი წიგნი ჩვენი შესანიშნავი ბავშვებისათვის! მივცეთ საბჭოთა ბავშვებს იდეურ-მხატვრულად სრულფასოვანი წიგნები, ლენინ-სტალინის დიადი იდეებით გამსჭვალული წიგნები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნათელი გონებისა და წმინდა გულის იდეური, მტკიცე, კეთილშობილი ადამიანების — კომუნისტური საზოგადოების მშენებლების აღზრდას!

„პრავდის" 11-V მოწინავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ა. გრომიკოს განცხადება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარ თათბირზე

პარიზი, 10 მაისი. (საქტესის სპეც. კორ.). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ჯესეპის თავმჯდომარეობით გაიმართა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირის 48-ე სხდომა, რომელზეც ა. ა. გრომიკომ შემდეგი განცხადება გააკეთა:

საბჭოთა დელეგაცია უკვე შეეხო იმ სიძნელეთა მიზეზების საკითხს, რომლებსაც ჩვენი თათბირი წააწყდა. ვემყარებოდით რა ფაქტებს, ჩვენ აღვნიშნავდით, რომ სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები ყველაფერს სჩადიან, რაც კი შესაძლებელია, რათა გაართულონ დღის წესრიგის შესახებ მოლაპარაკების მსვლელობა, თუმცა სიტყვით აცხადებენ შეთანხმება სურთო.

ასეთმა ტაქტიკამ გამოხატულება ჰპოვა სამი სახელმწიფოს უკანასკნელი წინადადებებითაც, რომლებიც თათბირის განსახილველად წარმოდგენილ იქნა 2 მაისს. ეს წინადადებებია: სამივე „A", „B" და „C" ალტერნატივა ნავარაუდევია იმისათვის, რომ ან სრულიად არ დაუშვან შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხის განხილვა, ანდა არარად აქციონ ამ საკითხის მნიშვნელობა ორაზროვანი ფორმულირების მიღების გზით, რომელშიც ეს ძირითადი საკითხი ექვემდებარება „შეიარაღების დონის" საკითხს. გარდა ამისა, სამი სახელმწიფოს წინადადებებში მოხსენიებულია შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება საერთოდ და არა ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება. სხვანაირად რომ ითქვას, სამი სახელმწიფო გვთავაზობს ისეთ ფორმულირებას, რომლითაც მთელი ეს საქმე წინასწარვე განწირულია უნაყოფო დისკუსიისათვის.

რაც შეეხება გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის ფორმულირება შეთანხმებულია, სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა წინადადებანი აგრეთვე ან სრულიად არ ითვალისწინებენ იმას, რომ ეს საკითხი მინისტრებმა განიხილონ, ან უკანასკნელ პლანზე გადააქვთ იგი. მაგალითად, „A" ალტერნატივაში სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები თანახმა არიან პირველ პლანზე დააყენონ ეს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი მიიღებს მათ წინადადებებს შეიარაღების საკითხზე, თუმცა მშვენივრად იციან, რომ ეს „საჰაერო გარიგება" რეალური არ არის.

„B" ალტერნატივაში ეს საკითხი გადატანილია უკანა პლანზე და მოთავსებულია იმ დებულებათა შემდეგ, რომლებიც ეხება შეიარაღებისა და შეიარაღებულ ძალებს, და რომელთა რედაქცია თანაც შეუთანხმებელი რჩება.

დასასრულ, „C" ალტერნატივაში საერთოდ არ არის მოხსენიებული გერმანიის დემილიტარიზაცია.

ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხისადმი დამოკიდებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თათბირის მონაწილე ქვეყნების საერთო პოლიტიკის დახასიათებისათვის. თათბირის მსვლელობაში კვლავ ნათლად დადასტურდა, რომ არის ორი პოლიტიკა. ერთი მათგანის მიზანია ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცება და მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის განვითარება, მიუხედავად არსებული საზოგადოებრივი სისტემების განსხვავებისა. ეს პოლიტიკა მიმართულია ფართო სამშვიდობო სამოქალაქო მშენებლობის განვითარებისაკენ და ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობის უზრუნველყოფისაკენ, რათა ამაღლდეს ამ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე, ფასების სისტემატური შემცირებისაკენ, ხელფასის გადიდებისაკენ, მოსახლეობის მოხმარების გადიდებისაკენ, კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისაკენ. ასეთი პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭიროა, რომ სახელმწიფო სახსრები ხმარდებოდეს მშვიდობიან მშენებლობასა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას, რომ გამალებული შეიარაღება კი არ ხდებოდეს, არამედ განხორციელდეს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება.

ამ პოლიტიკას ახორციელებს საბჭოთა კავშირის მთავრობა. აქედან გამომდინარეობს საბჭოთა წინადადება ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ.

განა საჭიროებს მტკიცებას იმას, რომ ასეთი პოლიტიკა შეესაბამება სხვა ქვეყნების ხალხების ინტერესებსაც, რომლებიც უფრო და უფრო განიცდიან გადიდებული გადასახადების სიმძიმეს, სიძვირის ზრდას იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთის სახელმწიფოები გამალებულ შეიარაღებას ეწევიან.

მაგრამ არის სხვა პოლიტიკაც. იგი მიმართულია სამხედრო მრეწველობის გაძლიერებისაკენ, სამოქალაქო მრეწველობის შემცირებისაკენ, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შეკოწიწებისაკენ, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების შექმნისაკენ და სხვა ღონისძიებათა განხორციელებისაკენ, რომელთაც მშვიდობის ინტერესებთან საერთო არა აქვთ რა. ცხადია, რომ ასეთი პოლიტიკის განხორციელება იწვევს სამშვიდობო სამეურნეო და კულტურული საჭიროებისათვის სახელმწიფო ასიგნებათა შემცირებას და ეს ასიგნებანი ხმარდება ახალი ომის მომზადების მიზნებს. ეს პოლიტიკა იწვევს მოსახლეობის გადასახადების ზრდას, ფართო მოხმარების საქონლის ფასების გადიდებას, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის და საერთოდ მშრომელთა შემოსავლის შემცირებას, ამავე დროს დიდდება იარაღის მრეწველ-მოვაჭრეთა ზემოგება, მცირდება სამშვიდობო დანიშნულების სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებათა რაოდენობა.

ასეთ პოლიტიკას ეწევიან ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები, და ამ პოლიტიკამ გამოხატულება ჰპოვა იმით, რომ სამი სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ჩვენს თათბირზე უარყოფითი პოზიცია დაიკავეს ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხში.

ევროპაში, და არა მარტო ევროპაში, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სწორედ ოთხი სახელმწიფოს—სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ შემცირებას. ეს ღონისძიება სერიოზულად შეანელებდა ევროპაში არსებულ დაძაბულ მდგომარეობას, ომის გამჩაღებელთა გეგმებისა და ომის პროპაგანდისტებისათვის უძლიერესი ლახვრის ჩაცემა იქნებოდა და, ამრიგად, ხელს შეუწყობდა ახალი ომის საფრთხის აღმოფხვრას. ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება ბოლოს მოუღებდა გამალებულ შეიარაღებას და სამხედრო ბიუჯეტების ზრდას, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობის ფართო ფენებს. ამასთან შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი საფუძველი იქნებოდა, რაც არა გვგონია ვინმემ უარყოს.

ყოველივე ეს იმის საფუძველს იძლევა, რომ დავაყენოთ კანონიერი კითხვა—ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები რატომ უარყოფენ წინადადებას იმის შესახებ, რომ მინისტრების საბჭოს დღის წესრიგში შეტანილ იქნას ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხი? ეს უარყოფა განა იმას მოწმობს, რომ მათ სურთ გააუმჯობესონ ურთიერთობა ოთხ სახელმწიფოს შორის და აღმოფხვრან მიზეზები ევროპაში დაძაბული მდგომარეობისა, რომლის არსებობასაც თვითონვე აღიარებენ? რასაკვირველია, არ მოწმობს.

საბჭოთა დელეგაცია მთელი ჩვენი თათბირის განმავლობაში ყველა შესაძლო ღონისძიებას მიმართავდა იმისათვის, რომ გაეადვილებინა ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე შეთანხმების მიღწევა და შეეტანა იგი დღის წესრიგში ცნობილია, რომ თავდაპირველად საბჭოთა დელეგაციამ წარმოადგინა წინადადება მინისტრების თათბირზე განხილულ ყოფილიყო საკითხი: „ოთხი სახელმწიფოს—სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შემცირების დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ" (ამა წლის 5 მარტის წინადადება). დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები არ დაეთანხმნენ ასეთ ფორმულირებას, რომელიც ერთობ რადიკალურად მიიჩნიეს და მოითხოვდნენ, რომ, ჯერ-ერთი, არ ყოფილიყო ლაპარაკი შეიარაღებული ძალების შემცირების დაუყოვნებლივ დაწყებაზე და, მეორე, პუნქტი შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ ცალკე პუნქტად კი არ ყოფილიყო აღნიშნული, არამედ შესულიყო მათ მიერ წარმოდგენილ საერთო პუნქტში ევროპაში საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზებისა და ოთხ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საბჭოთა დელეგაციამ 14 მარტს ანგარიში გაუწია სამი სახელმწიფოს დელეგაციების სურვილს ამ მხრივ და წარმოადგინა ახალი წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა სამი სახელმწიფოს დელეგაციების ამ სურვილს.

მიუხედავად ამისა, 16 მარტს სამმა დელეგაციამ შემოიტანა დღის წესრიგის პირველი პუნქტის ახალი პროექტი, რომელშიც შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხი პირდაპირ დაქვემდებარებული იყო ეგრეთწოდებული „შეიარაღების დონის" საკითხისადმი. ცხადია, ამან ახალი სიძნელეები შექმნა ჩვენი თათბირის მუშაობაში.

20 და 28 მარტს საბჭოთა დელეგაციამ, ამ პუნქტის შეთანხმების მიღწევის მიზნით, შემოიტანა ახალი წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებდნენ სამი დელეგაციის სურვილს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიაზე განხილული ყოფილიყო „შეიარაღების დონისა" და საერთაშორისო კონტროლის საკითხები.

ამ წინადადებებთან დაკავშირებით თითქოს უნდა აღმოფხვრილიყო დაბრკოლება ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევის საქმეში. მაგრამ ამის შემდეგაც ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციები არ დაეთანხმნენ ხსენებული ტექსტის მიღებაზე და სულ ახალ და ახალ გამოგონილ საწინააღმდეგო არგუმენტებს აყენებდნენ.

როგორ უნდა შევაფასოთ სამი სახელმწიფოს ასეთი პოზიცია ამ საკითხში? ჩვენ არ შეგვიძლია შევაფასოთ იგი სხვანაირად, თუ არა როგორც იმის მაჩვენებელი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს არ სურთ შეამცირონ თავიანთი შეიარაღება და შეიარაღებული ძალები, როგორც იმის მაჩვენებელი, რომ ისინი მომავალშიც აპირებენ განახორციელონ გამალებული შეიარაღების პოლიტიკა. სხვათა შორის, ასეთ დასკვნას ადასტურებს თვით სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა განცხადებები. ეს ხომ ფაქტია, რომ ჩვენს თათბირზე ბატონ ჯესეპს, ბატონ დევისსა და ბატონ პაროდის არაერთხელ და პირდაპირ განუცხადებიათ, რომ მათი მთავრობები ახორციელებენ „შეიარაღების პოლიტიკას" და რომ ისინი არ აპირებენ ამ პოლიტიკის შეცვლას. საფრანგეთის წარმომადგენელმა პაროდიმ პირდაპირ განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობას ოთხი სახელმწიფოს მინისტრების თათბირზე შეუძლია დასვას საკითხი საფრანგეთის შეიარაღების არა შემცირების, არამედ შემდგომი გადიდების შესახებ, რადგან ეს შეიარაღება ამჟამად თითქოს საკმარისი არ არის.

ცნობილია, რომ ამის შესახებ ჩვენი თათბირის განმავლობაში არა ერთხელ კიდევ უფრო გულახდილად გამოთქვა თავისი აზრი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა, რომელმაც ამერიკელ ხალხს მიუკიბ-მოუკიბავად განუცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შემდეგშიც განაგრძობენ თავიანთ პოლიტიკას შეიარაღების დარგში.

ეს განცხადებები დადასტურებულ იქნა ტრუმენის მიმართვაში ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ასიგნებათა შემდგომი გადიდებისა და მათი 60 მილიარდ დოლარზე მეტ თანხამდე აყვანის შესახებ, რაც თითქმის 60-ჯერ აღემატება ამერიკის შეერთებული შტატების ომამდელ 1938-39 წლის სამხედრო ხარჯებს და ერთიორად და მეტად სჭარბობს ამერიკის შეერთებული შტატების საომარ ხარჯებს 1941-42 საბიუჯეტო წელს. ეს არის მთავრობის აქტი, რომელიც თითქოს პირდაპირი პასუხია საბჭოთა წინადადებაზე ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ. ყოველივე ეს ხდება იმ მომენტში, როცა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი თათბირზე ვარდისფერ სასახლეში გამოდის ლიტონი დეკლარაციებით, რომლებიც, რასაკვირველია, ალაგის სჯერა, იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თითქოს ნამდვილად ისწრაფვის ევროპაში ვითარების გაუმჯობესებისა და ოთხი სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ. ეს, მართლაც, ღმერთების საკადრისი სანახაობაა.

ცხადია, საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით სამი სახელმწიფო იძულებული იყო თავის ახალ წინადადებებში ჩვენს თათბირზე ვარდისფერ სასახლეში მოეხსენიებინა „შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება". მაგრამ მათ, ჯერ-ერთი, ეს საკითხიც დაუქვემდებარეს „შეიარაღების დონეს" და, მეორე, პირდაპირ და გადაჭრით უარყვეს წინადადება ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხზე.

სამი დელეგაციის წინადადების თანახმად, მინისტრებმა ჯერ უნდა განიხილონ ყველა ქვეყნის არსებული „შეიარაღების დონე", ამასთან სამი სახელმწიფოს წარმომადგენელთა განმარტებით, „შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ცალკე ქვეყნები თავიანთი შეიარაღების დონეს არასაკმაოდ მიიჩნევენ და ამას შეიძლება მოჰყვეს წინადადება ამ დონის ამაღლების შესახებ".

შემდეგი წინადადება მინისტრებმა განიხილონ „კონტროლის" საკითხი. მაგრამ ჯესეპის, დევისისა და პაროდის სიტყვებიდან ჩანს, რომ ამასთან მხედველობაში მიღებულია არა შეიარაღების შემცირებისადმი კონტროლი, არამედ „შეიარაღების დონისადმი კონტროლი", სხვანაირად რომ ვთქვათ, კონტროლი ზოგ ქვეყანაში ამ დონის შესაძლებელი გადიდებისადმი და კონტროლი სხვა ქვეყნებში შეიარაღების მხოლოდ შესაძლო შემცირებისადმი.

და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მინისტრები შეძლებენ როგორმე დაალწიონ თავი ამ გაუვალ ჭაობს, მათ უნდა განიხილონ არა ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხი, არამედ მხოლოდ შემცირების შესაძლებლობის საკითხი, ისევ და ისევ საერთოდ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების „დონის" მიხედვით. ხოლო რამდენადაც ნათელია, რომ ოთხი სახელმწიფოს მინისტრებს შეუძლიათ გადაწყვეტილებათა მიღება ოთხი სახელმწიფოს სახელით და არა ყველა სხვა ქვეყნის სახელით, სამი დელეგაციის წინადადების თანახმად, საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ ოთხმა მინისტრმა შეიმუშაოს „წინადადებანი", რომელთაც, ინგლისის წარმომადგენლის დევისის სიტყვით, ექნებათ მხოლოდ „მორალური მნიშვნელობა" და რომლებიც შეიძლებოდა წარედგინათ ოთხი სახელმწიფოს მინისტრებს ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ანდა „შეიარაღების შემცირების სპეციალური კონფერენციის" განსახილველად.

დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა კარგად იციან, რომ მათ მიერ შეთავაზებულ ამ გზას არ შეუძლია მოგვცეს რაიმე დადებითი შედეგი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საქმეში. მაგალითად, იმავე დევისმა ჩვენს მეშვიდე სხდომაზე 12 მარტს განაცხადა შემდეგი:

„ცხადია, ამგვარი განხილვის დროს შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ზოგიერთ მთავრობას შეუძლია დაუყოვნებლივ შეუდგეს შეიარაღების შემცირებას, ხოლო სხვებმა, შესაძლოა, მიიჩნიონ, რომ მათ არ შეუძლიათ გააკეთონ ეს. და თუ ეს ასე იქნება, მაშინ, რა თქმა უნდა, ყველა ის, ვინც ვერ შეძლებს ამის გაკეთებას, საძნელო მდგომარეობაში ჩააყენებს იმათ, ვისაც სურს შეამციროს შეიარაღებული ძალები".

აი თურმე სით გვეწევიან ჩვენ სამი სახელმწიფოს წარმომადგენლები, როგორც ეს მათივე საკუთარი ახსნა-განმარტებით ჩანს ...განა დევისის ამ ტირადიდან არ გამომდინარეობს, რომ დასავლეთ სახელმწიფოთა წინადადების მიღება მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მოტყუება იქნებოდა? სამ სახელმწიფოს სურს გაიმეოროს სავალალო გამოცდილება ერთა ლიგისა, რომელიც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიზეზით მრავალი წლის განმავლობაში უნაყოფოდ განიხილავდა განიარაღებისა და შეიარაღების შემცირების საკითხებს და უძლური აღმოჩნდა რეალური რამ გაეკეთებინა ამ მიმართულებით. ჩვენ ახლა გვთავაზობენ მივიღოთ მუშაობის იგივე მანკიერი მეთოდები, რომელთა მიხედვით შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების მთელი საქმე წინასწარ განწირულია სრული ჩაშლისათვის. მაგრამ მსოფლიოს ხალხებს ახსოვთ, თუ რა სამსახურს უწევდნენ ერთა ლიგაში ერთ დროს დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები განიარაღების საქმეს. მათ ახსოვთ ისიც, რომ უფრო გვიან ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა ჩაშალეს შესრულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის ცნობილი რეზოლუციისა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ და ამ შემცირების ნაცვლად გააჩაღეს გამალებული შეიარაღება.

იმისათვის, რომ საზოგადოებრიობის თვალში შეარყიონ მიმზიდველი ძალა საბჭოთა მარტივი და ნათელი წინადადებისა ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლები ზედიზედ იგონებენ ყალბ მოსაზრებებს. მაგალითად, წინააღმდეგობას უწევენ რა ამ საბჭოთა წინადადებას, ისინი უსაფუძვლოდ აცხადებენ, თითქოს, მათი მთავრობების მიერ წარმოებული გამალებული შეიარაღების პოლიტიკა გამოწვეულია საბჭოთა კავშირის მძლავრი შეიარაღებით. მაგრამ ეს ცილისწამება უკვე მხილებულ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის ცნობილ საუბარში „პრავდის" კორესპონდენტთან, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირმა ომის შემდეგ, 1945-48 წლებში მოახდინა თავისი ჯარების დემობილიზაცია, ფართოდ გააჩაღა სამოქალაქო მრეწველობა და ამავე დროს დაიწყო დიდი მშენებლობანი ვოლგაზე, დნეპრზე, ამუ-დარიაზე და სხვ.

საბჭოთა მთავრობის 1951 წლის 24 თებერვლის ნოტაში დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი აღნიშნული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა ამჟამად ერთიორად და მეტად აღემატება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რაოდენობას.

იმის მტკიცების უაზრობას, თითქოს დასავლეთის სამი სახელმწიფოს გამალებული შეიარაღების პოლიტიკა გამოწვეულია საბჭოთა კავშირის შეიარაღების ზრდით, ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ წინადადების შემოტანით საბჭოთა კავშირის მთავრობამ იკისრა ინიციატივა შეამციროს თავისი საკუთარი შეიარაღება და შეიარაღებული ძალებიც. ამავე დროს ამ საბჭოთა წინადადების უარყოფით დასავლეთის სამმა სახელმწიფომ ერთხელ კიდევ დაანახვა მთელ მსოფლიოს, რომ ისინი აპირებენ კვლავაც განახორციელონ გამალებული შეიარაღება, კიდევ უფრო გაადიდონ გადასახადები.

ამდენადვე უნიადაგოა სამი სახელმწიფოს მთავრობების ცდები — თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება წინადადებისადმი დღის წესრიგში ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხის შეტანის შესახებ დაასაბუთონ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეიარაღების უსაფუძვლო მომიზეზებით. დასავლეთ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს მოეყვანათ რაიმე ფაქტი, რომელიც დაადასტურებდა მათს უსაბუთო მტკიცებას ამ მხრივ, რადგან ასეთი ფაქტები არ არსებობს. ცხადია, ეს უაზრო მტკიცება სამი სახელმწიფოს მთავრობებს იმისათვის დასჭირდათ, რომ კიდევ ერთი საბაბი ეპოვნათ, რათა უარეყოთ საბჭოთა წინადადება და დაეცვათ თავიანთი მილიტარისტული გეგმები შეიარაღებისა და ახალი ომის მომზადების თავიანთი პოლიტიკის დარგში.

სამი სახელმწიფოს დელეგაციები გვარწმუნებენ, თითქოს მათი წინადადებანი „შეიარაღების დონისა" და „კონტროლის" საკითხთა და ყველა ქვეყნის შეიარაღების შემცირების საკითხის განხილვის შესახებ უფრო „ფართოა", და, ამიტომ, ეს წინადადებები თითქოს სჯობს საბჭოთა წინადადებას ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ. მაგრამ ჩვენ უკვე ცხადვყავით, რომ სამი დელეგაციის ეს წინადადება, თუ ის მიღებულ იქნა, იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მთელი საქმე გადაიქცეოდა ფუჭ ლაყბობად „შეიარაღების, შეიარაღებული ძალების დონისა" და ამ დონისადმი „კონტროლის" თემაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სამი სახელმწიფოს წინადადება იგივეა, რაც უარის თქმა საერთოდ შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებაზე.

აი რატომ მიაჩნია საბჭოთა დელეგაციას არასწორად და მიუღებლად სამი დელეგაციის ფორმულირება შეიარაღების საკითხზე და მტკიცედ იცავს მის მიერ შეტანილ წინადადებებს, რომლებიც შეესაბამება მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებს.

რამდენადაც ჩვენს თათბირზე გამოვლინდა ყველა მონაწილის მზადყოფნა — საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიაზე განიხილონ იმ ღონისძიებათა საკითხი, რაც საჭიროა სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა დელეგაციამ მოითხოვა შეტანილ იქნას დღის წესრიგში აგრეთვე პუნქტი ატლანტიკის პაქტის შესახებ და ინგლისში, ნორვეგიაში, ისლანდიაში და ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნის შესახებ. ვერც ერთი ობიექტურად მოაზროვნე ადამიანი ვერ უარყოფს ამ საკითხის განხილვის დიდ მნიშვნელობას ოთხი სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის.

როგორც საბჭოთა მთავრობას არაერთგზის აღუნიშნავს, ატლანტიკის პაქტის მახვილი მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. იგი მიზნად ისახავს გადააქციოს დასავლეთ ევროპა ახალი ომის პლაცდარმად. იგი შეთქმულებაა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ამას, კერძოდ, მოწმობს ის გარემოება, რომ ატლანტიკის პაქტის ორგანიზატორები ჩრდილოეთ ატლანტიკის დაჯგუფებაში ითრევენ დასავლეთ გერმანიას, ამასთან ცდილობენ გამოიყენონ დასავლეთ მაოკუპირებელ სახელმწიფოებზე დასავლეთ გერმანიის დამოკიდებული მდგომარეობა და შემდეგ გერმანელი ხალხი ახალ ომში გარეკონ როგორც საზარბაზნე ხორცი.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ინგლისში, ნორვეგიაში, ისლანდიაში და ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნის საკითხს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ატლანტიკის პაქტთან და დასავლეთი სახელმწიფოების აგრესიულ პოლიტიკასთან, რაც საფუძვლად უდევს ამ პაქტს.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მრავალი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის განცხადებანი და, კერძოდ, ჩერჩილის განცხადება თემთა პალატაში მიმდინარე წლის 19 აპრილს მოწმობენ, რომ ეს ბაზები განკუთვნილია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსაყენებლად. ეს ნათლად ჩანს თუნდაც ამ ბაზების გეოგრაფიული განლაგებიდან.

ასეთ პირობებში როგორ შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ურთიერთობის გაუმჯობესებაზე, აგრეთვე ევროპაში დაძაბული მდგომარეობის მიზეზებისა და შედეგების აღმოფხვრაზე და ამავე დროს უარს ვამბობდეთ იმაზე, რომ ოთხი სახელმწიფოს მინისტრების განსახილველად დაისვას საკითხი მთელ რიგ ქვეყნებში ამერიკის სამხედრო ბაზების შესახებ.

სამი სახელმწიფოს პოზიციის სიყალბე იმდენად აშკარად ჩანს, რომ მათმა წარმომადგენლებმა უმჯობესად მიიჩნიეს საერთოდ თავი აერიდებინათ ამ საბჭოთა წინადადების განხილვისათვის. მაგრამ დუმილი არგუმენტი როდია. დუმილი უფრო ხაზგასმით აღნიშნავს ამ შემთხვევაში დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკის სიყალბეს, გვიჩვენებს, რომ ისინი აქ თვალთმაქცობენ, თავს არიდებენ მათთვის ამ უსიამოვნო თემის განხილვას.

ითვალისწინებს რა ამ მოსაზრებებს, საბჭოთა დელეგაცია კვლავ საჭიროდ თვლის დღის წესრიგში შეტანილ იქნას პუნქტი ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის ბაზების შესახებ.

ამასთანავე ითვალისწინებს რა სიძნელეებს, რომლებსაც ჩვენი თათბირი წააწყდა, და ისწრაფვის რა მიღწეულ იქნას შეთანხმება დღის წესრიგზე და უზრუნველყოფილ იქნას საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოწვევის შესაძლებლობა, საბჭოთა დელეგაცია თანახმაა, რომ დღის წესრიგის პირველი პუნქტის ის ნაწილი, რომელიც ეხება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხს, გადაეცეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს, როგორც შეუთანხმებელი, ორი ფორმულირებით—საბჭოთა რედაქციითა და ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა რედაქციით. საბჭოთა დელეგაციას კვლავ მიაჩნია, რომ გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხი უნდა დაისვას შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხის წინ, როგორც ეს კიდევაც გააკეთა საბჭოთა დელეგაციამ „A" ვარიანტში, როცა ამ საკითხზე ჩვენს შორის უკვე შეთანხმებული ფორმულირება მოათავსა პირველი პუნქტის შეთანხმებულ ტექსტში. შემოაქვს რა ეს წინადადება, საბჭოთა დელეგაცია, რა თქმა უნდა, მხედველობაში იღებს, რომ მინისტრების საბჭოს გადაეცემა მეორე შეუთანხმებელი პუნქტიც—ატლანტიკის პაქტისა და ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნის შესახებ.

ამრიგად, საბჭოთა დელეგაცია თანახმაა, რომ ორივე ეს შეუთანხმებელი საკითხი — შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ და ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის სამხედრო ბაზების შესახებ—გადაეცეს მინისტრების საბჭოს.

ასეთ შემთხვევაში პირველ პუნქტს ჩვენ მივიღებთ და მინისტრების საბჭოს გადავცემთ შემდეგი სახით:

1. განხილვა ევროპაში არსებული საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზების და შედეგების და იმ ღონისძიებებისა, რომლებიც საჭიროა სსრ კავშირის, შეერთებული შტატების, შეერთებული სამეფოსა და საფრანგეთის ურთიერთობის ნამდვილი და ხანგრძლივი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად,

მათ შორის შემდეგი საკითხებისა, რომლებიც შეეხება: გერმანიის დემილიტარიზაციას;

(შეერთებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი).

შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების არსებულ დონეს და ღონისძიებებს, რომლებსაც ერთობლივად წარმოადგენენ სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, შეერთებული სამეფო და საფრანგეთი, რათა დაწესდეს საერთაშორისო კონტროლი და შემცირდეს შეიარაღება და შეიარაღებული ძალები;

(სსრ კავშირი).

სსრ კავშირის, შეერთებული სამეფოს, შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებებს, შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების არსებულ დონეს და სათანადო საერთაშორისო კონტროლის დაწესებას; არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებათა და შეთანხმებათა შესრულებას; ომის საფრთხისა და აგრესიის შიშის აღმოფხვრას.

საბჭოთა დელეგაციას აგრეთვე წინადადება შემოაქვს, როგორც აღნიშნულია ზემოთ, შეტანილ იქნას დღის წესრიგში, როგორც შეუთანხმებელი, შემდეგი პუნქტი:

„ატლანტიკის პაქტი და ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნა ინგლისში, ნორვეგიაში, ისლანდიაში და ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში".

თუ შეთანხმება მიღწეულ იქნა ამ საკითხებზე, საბჭოთა დელეგაცია მზად არის მიიღოს დღის წესრიგის დანარჩენი პუნქტების ფორმულირებანი, რომლებიც მოყვანილია საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა 2 მაისის ალტერნატიული წინადადებების „B" ვარიანტში. მაშინ შეიძლება შეთანხმებულად მივიჩნიოთ: პუნქტი „იმ პრობლემათა შესახებ, რომლებიც ეხება გერმანიის ერთიანობის აღდგენას და საზავო ხელშეკრულების მომზადებას", პუნქტები „იტალიასთან საზავო ხელშეკრულების იმ ნაწილის შესრულებას, რომელიც ტრიესტს ეხება" და „დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენისათვის ხელშეკრულების დამთავრების" შესახებ, აგრეთვე პუნქტი „იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან და უნგრეთთან საზავო ხელშეკრულებათა და გერმანიისა და ავსტრიის საკითხზე ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებათა შესრულების" შესახებ.

რაც შეეხება დღის წესრიგის ყველა ამ პუნქტის დალაგების რიგის საკითხს, როგორც საბჭოთა დელეგაციამ უკვე განაცხადა, ეს საკითხი დამატებით განხილვას მოითხოვს, გარდა პირველი პუნქტისა, რომლის შესახებაც ყველა დელეგაცია შეთანხმდა, რომ მას დღის წესრიგში პირველი ადგილი უნდა ეკავოს.

ჩვენ გამოვთქვამთ იმედს, რომ ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ ახალ საბჭოთა წინადადებას მიიღებენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და შეერთებული შტატების წარმომადგენლები და, ამრიგად, ჩვენი თათბირი მალე დაამთავრებს თავის მუშაობას და საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო შეძლებს შეიკრიბოს, რათა არსებითად განიხილოს ზემოხსენებული საკითხები.

* * *

პარიზი, 10 მაისი. (საქტესის სპეც. კორ.). ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა დღევანდელ სხდომაზე სსრ კავშირის წარმომადგენლის გრომიკოს შემდეგ ილაპარაკა საფრანგეთის წარმომადგენელმა პაროდიმ. რადგან მან ვერ შეძლო გაებათილებინა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის მიერ მოყვანილი მოსაზრებანი და ფაქტები, გრომიკოს გამოსვლა „პროპაგანდად" გამოაცხადა. ამაოდ ცდილობდა რა გაემართლებინა დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიული პოლიტიკა და ის ღონისძიებანი, რომლებსაც ისინი ახალი ომის მოსამზადებლად ახორციელებენ, დაესახა, როგორც „იძულებითი" და „თავდაცვითი" ღონისძიებანი, პაროდიმ კვლავ გაიმეორა ცილისმწამებლური მტკიცებანი სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებსა და სამი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის „უდიდესი დისპროპორციის" შესახებ, სამი სახელმწიფოსი, რომლებიც თითქოს „ჩამორჩებიან" საბჭოთა კავშირს შეიარაღების დონის მხრივ. გასაგებია, რომ პაროდის არც ერთი ფაქტი არ მოუყვანია თავის მტკიცებათა დასადასტურებლად, რადგან ასეთი ფაქტები ბუნებაში არ არსებობს.

ყალბი მსჯელობა იმის შესახებ, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა თითქოს „თავდაცვითი" ხასიათისაა, პაროდის იმისათვის დასჭირდა, რომ გამოენახა საბაბი, რათა გაელაშქრა საბჭოთა ახალი წინადადებების წინააღმდეგ, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ დღეს წარადგინა დღის წესრიგისათვის. განაცხადა რა, რომ წინასწარი მსჯელობის წესით გამოდის, პაროდი არ დაეთანხმა იმას, რომ გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხი დაისვას დღის წესრიგის პირველი პუნქტის პირველ ადგილზე, აგრეთვე წინადადებას იმის შესახებ, რომ მინისტრების საბჭოსათვის გადასაცემ დღის წესრიგში როგორც შეუთანხმებელი პუნქტი შეტანილ იქნას საკითხი ატლანტიკის პაქტისა და სხვის ტერიტორიებზე ამერიკის სამხედრო ბაზების შესახებ. პაროდიმ უფლება დაიტოვა უფრო გვიან გამოთქვას აზრი საბჭოთა წინადადებების არსის შესახებ.

ასეთივე აზრი გამოთქვა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა დევისმა, რომელმაც ილაპარაკა გერმანიის დემილიტარიზაციის შესახებ პუნქტის შეთანხმების წინააღმდეგ, და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჯესეპმა, რომელიც ამაოდ ცდილობდა აგრესიული ატლანტიკის პაქტი დაესახა, როგორც „თავდაცვითი" და ისეთი პაქტი, „რომელიც შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას".

თუმცა თვითონ დასავლეთის დელეგაციები, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის წარმომადგენელი, ყოველნაირად ცდილობენ გაართულონ თათბირის მუშაობა, მაგრამ ჯესეპმა თავისი სიტყვის დასკვნით ნაწილში დემაგოგიური შეკითხვა მისცა საბჭოთა დელეგაციას: „სურს თუ არა საბჭოთა მხარეს მიიღოს მონაწილეობა ოთხი მინისტრის თათბირში?"

მოკლე დასკვნითი რეპლიკით გრომიკომ ამხილა ჯესეპის შეკითხვის დემაგოგიური ხასიათი. მან თქვა: „ასეთ შეკითხვას საბჭოთა დელეგაციის მიმართ აზრი არა აქვს თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიის მოწვევა. პირიქით, სწორედ საბჭოთა დელეგაციას,—თქვა გრომიკომ,—ყველა საფუძველი აქვს დაეჭვდეს, ნამდვილად სურს თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევა". „ჩვენ ამ საკითხს წინათაც ვაყენებდით და ამჟამადაც ვაყენებთ",—დასძინა გრომიკომ.

ბულგარეთის მთავრობის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსადმი

სოფია, 8 მაისი. (საქტესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მინჩო ნეიჩევმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მას ყურადღებას მიაპყრობს ბულგარეთის ტერიტორიისა და ბულგარეთის საჰაერო სივრცის მთელ რიგ ახალ დარღვევებს, რაც ჩაიდინეს საბერძნეთის სასაზღვრო ორგანოებმა და საჰაერო ძალებმა.

წერილში, კერძოდ, ნათქვამია, რომ 1951 წლის 31 მარტს საბერძნეთის ორმა ერთმოტორიანმა მონოპლანმა დაარღვია ბულგარეთის საჰაერო საზღვარი გოცედელჩევის ოკოლიის სოფელ გოდეშევოს სამხრეთ-აღმოსავლეთით და 4,5 კილომეტრი სიღრმით შემოიჭრა ბულგარეთის ტერიტორიაზე. ამავე დღეს საბერძნეთის თვითმფრინავებმა კვლავ დაარღვიეს ბულგარეთის საჰაერო საზღვარი და შემოიჭრნენ 9 კილომეტრ მანძილზე ბულგარეთის ტერიტორიის სიღრმეში.

ბულგარეთის საზღვარი საბერძნეთის თვითმფრინავებმა დაარღვიეს მიმდინარე წლის 9, 11 და 24 აპრილს.

14 აპრილს საბერძნეთის 30 ჯარისკაცი შეიჭრა ბულგარეთის ტერიტორიაზე ზლატოგრადის ოკოლიის სოფელ კობილინდოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით. შენიშნეს რა ბულგარეთის სასაზღვრო რაზმი, ბერძენმა ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს მას და შემდეგ საბერძნეთის ტერიტორიაზე დაბრუნდნენ

23 აპრილს საბერძნეთის 4 ჯარისკაცმა სროლა აუტეხა ბულგარეთის სასაზღვრო რაზმს, რომელიც საზღვარს იცავდა 2,4 კილომეტრზე ზლატოგრადის ოკოლიის სოფელ ალამოვცის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

საბერძნეთის სასაზღვრო ორგანოებისა და საჰაერო ძალების პროვოკაციები, რაც მიმართულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, ნათქვამია წერილში, ერთხელ კიდევ ადასტურებს საბერძნეთის მთავრობის პოლიტიკის მტრულ ხასიათს, რომლის მიზანია შფოთი გამოიწვიოს ბალკანეთში.

აცნობებს რა ზემოაღნიშნულს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო სთხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს გადასცეს საბერძნეთის მთავრობას ბულგარეთის მთავრობის პროტესტი და გააცნოს ეს წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს.

ინგლის-ამერიკის მეტოქეობა შუა აღმოსავლეთში

თეირანი, 9 მაისი. (საქტესი). გაზეთი „ეტეჰადე მელი" სტატიაში სათაურით „ირანის ნავთი და ინგლისისა და ამერიკის ფარული ომი" წერს: „ახლა სულ უფრო იგრძნობა ძლიერი ეკონომიური და პოლიტიკური მეტოქეობა ინგლისსა და ამერიკას შორის, რომლებიც იბრძვიან გავლენისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რაიონებში და განსაკუთრებით შუა აღმოსავლეთში". ირანის ნავთის პრობლემა ცხადყოფს, წერს გაზეთი, რომ ამ ორი ქვეყნის მთავრობები „ფარულად მოქმედებენ ერთმანეთის წინააღმდეგ".

ალბანეთის ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი

ტირანა, 10 მაისი. (საქტესი). ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ იუგოსლავიის მთავრობას გაუგზავნა საპროტესტო ნოტა, რომელშიც იუგოსლავიის მთავრობის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ 1951 წლის 2-დან 30 აპრილამდე იუგოსლავიის შეიარაღებულმა ძალებმა რვაჯერ დაარღვიეს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცე, ტერიტორიული მთლიანობა და ტერიტორიული წყლები.

იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების ეს ახალი აგრესიული და ბანდიტური აქტები, ნათქვამია ალბანეთის ნოტაში, ერთხელ კიდევ ცხადყოფენ, რომ ბელგრადის ფაშისტური მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას არაერთგზის განუცხადებია პროტესტი, განაგრძობს პროვოკაციებისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის პოლიტიკას და ამრიგად ხელს უწყობს ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივ გეგმებს, ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების გეგმებს.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა უაღრესად ენერგიულ პროტესტს აცხადებს ბელგრადის ფაშისტური მთავრობის—ომის ამერიკელ-ინგლისელ გამჩაღებელთა ერთგული ლაქიის ამ საზიზღარი აგრესიული, პროვოკაციული აქტების წინააღმდეგ და ერთხელ კიდევ მოითხოვს, რომ ბელგრადის მთავრობამ ბოლო მოუღოს ამ აგრესიულ საქმიანობას, რომლის მიზანია მშვიდობის დარღვევა ბალკანეთსა და ევროპაში.

მშვიდობის პაქტისათვის!

ინგლისში დაიწყო მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება

ლონდონი, 10 მაისი. (საქდესი). 9 მაისს მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტმა მთელ ინგლისში დაიწყო ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება. კამპანია დაიწყო მიტინგით, რომელიც გაიმართა ჰამერსმიტის (ლონდონი) რატუშაში მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის თავმჯდომარის დ. ნ. პრიტის თავმჯდომარეობით. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს რამდენიმე წევრმა, რომლებიც ახლახან დაბრუნდნენ საბჭოს ბიუროს კოპენჰაგენის სესიიდან.

პრიტმა მიტინგი გახსნა და განაცხადა, რომ მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტი მოაწყობს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების ერთთვიურს, რომელიც დამთავრდება მშვიდობის მომხრეთა სრულიად ინგლისის კონფერენციით, რომლის მოწვევაც განზრახულია 8 და 9 ივნისისათვის. კონფერენცია გაიმართება ლონდონში ბატერსის რატუშაში.

მიტინგზე ერთსულოვნად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „მოგვაჩნია რა, რომ არ არის ისეთი საერთაშორისო პრობლემა, რომელიც არ შეიძლებოდეს მოლაპარაკებით მოგვარდეს, და რომ ჩვენი ვალია ხელი შევუწყოთ საერთაშორისო ურთიერთობებს, ხალხთა მეგობრობას და ომის მიზეზთა აღმოფხვრისაკენ მიმართულ საერთო ღონისძიებებს, ვალდებულებას ვკისრულობთ გავაკეთოთ ყოველივე, რაც ჩვენზეა დამოკიდებული, რათა მივაღწიოთ შეთანხმებას პარიზის თათბირზე; მხარი დავუჭიროთ ყოველგვარ ღონისძიებას, რათა მოწვეულ იქნას ხუთი დიდი სახელმწიფოს თათბირი ყველა მოუწესრიგებელი უთანხმოების განსახილველად; ვიბრძოლოთ ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის; ვიბრძოლოთ რასობრივი სიძულვილის, ომის პროპაგანდისა და უნდობლობის წინააღმდეგ და ხელი შევუწყოთ ყველა ხალხთა შორის მეგობრულ ურთიერთობებს".

ჩინეთში აგროვებენ ხელმოწერას მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე

პეკინი, 10 მაისი. (საქდესი). დღეს ცენტრალურმა გაზეთებმა მოათავსეს სინხუას სააგენტოს ცნობა ჩრდილოეთ და სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის წარმატებით შეგროვებისა და იაპონიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხმის მიცემის მსვლელობის თაობაზე.

ჩრდილოეთ ჩინეთის ხუთ პროვინციაში, ნათქვამია ცნობაში, 3 მაისისათვის მიმართვას ხელი მოაწერა და იაპონიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხმა მისცა 32.480 ათასმა კაცმა, რაც ამ პროვინციების მთელი მოსახლეობის 49,2 პროცენტს შეადგენს.

ისეთ ქალაქებში, როგორიცაა შიძიაჯუანი, ბაოდინი, კალგანი, გუისუი, სინსიანი და სხვები, მიმართვას ხელი მოაწერა და იაპონიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხმა მისცა მთელი მოსახლეობის სამმა მეოთხედმა, ხოლო ხებეის, შანსის პროვინციების სოფლებში და ჩაჰეს (ჩრდილოეთ ჩახარი) რაიონში—მოსახლეობის ორმა მესამედმა.

სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხელი მოაწერა 33 მილიონმა მცხოვრებმა, რაც ამ რაიონის მოსახლეობის 45,7 პროცენტს შეადგენს, და იაპონიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხმა მისცა 29.890 ათასმა კაცმა.

გაზეთ „დუნშეიეიბაოს" ცნობით, 9 მაისისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, გარდა შიდამონღოლეთის, ძეხეს და ლიაოდუნის პროვინციებისა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხელი მოაწერა და იაპონიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ხმა მისცა 20 მილიონმა კაცმა.

ინგლისის „მშვიდობისათვის ბრძოლის ეროვნული საბჭოს" პროგრამა

ლონდონი, 10 მაისი. (საქდესი). ინგლისის „მშვიდობისათვის ბრძოლის ეროვნულმა საბჭომ" გამოაქვეყნა პროგრამა სათაურით—„ინგლისის გზა მშვიდობისაკენ". („მშვიდობისათვის ბრძოლის ეროვნული საბჭო" პაციფისტური ორგანიზაციაა, რომელიც დაკავშირებული არ არის მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტთან. იგი აერთიანებს ინგლისის 40-მდე რელიგიურ, პაციფისტურ და პროფკავშირულ ორგანიზაციას.—რედ.).

პროგრამაში ნათქვამია, რომ საჭიროა „კომუნისტური და არაკომუნისტური" სისტემების მშვიდობიანი შეჯიბრება.

„ინგლისის მიერ სამხედრო მზადების სამწლიანი პროგრამისათვის 4.700 მილიონი გირვანქა სტერლინგის ასიგნება,—ნათქვამია შემდეგ პროგრამაში,—იმას ნიშნავს, რომ ნაკლები დაიხარჯოს სოციალური ღონისძიებებისათვის, აუცილებელი სამომხმარებლო საქონლისა და იმ ნედლეულის შეძენისათვის, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი სამრეწველო წარმოება".

შემდეგ პროგრამაში ჩამოთვლილია მშვიდობის უზრუნველყოფის 5 უახლოესი ამოცანა. აღნიშნულია, რომ უახლოეს ხანში უნდა მოხდეს მსოფლიოს ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრა იმ საშუალებათა განსახილველად, რომლებიც უზრუნველყოფენ პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას.

ინგლისის პოლიტიკა, აღნიშნულია პროგრამაში, მიმართულ უნდა იქნას არა იმისაკენ, რომ შეიქმნას ძალთა წონასწორობა სამხედრო ღონისძიებებით კომუნიზმის შესაკავებლად, არამედ კომუნისტურ და არაკომუნისტურ სისტემებს შორის შეთანხმების მისაღწევად პრინციპით „იცხოვრე და სხვასაც დაანებე იცხოვროს".

პროგრამა აყენებს მოთხოვნას, რომ ინგლისმა მტკიცედ მოითხოვოს „უშიშროების საბჭოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაშვება და რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ განაახლოს ცდები შორეულ აღმოსავლეთში გადაუჭრელი პოლიტიკური პრობლემების მოსაწესრიგებლად, მათ შორის გაერთიანებული და დამოუკიდებელი კორეის შესაქმნელად და მალაიისა და ინდო-ჩინეთის პრობლემების მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის".

ინგლისმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს გერმანიის შეიარაღების გეგმებს. დაუყოვნებლივ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს თათბირი, რათა მოხდეს შეთანხმება მთელი გერმანიის მთავრობის შექმნის შესახებ.

ინგლისი აგრეთვე უნდა გამოდიოდეს იაპონიის შეიარაღების შესახებ ყოველგვარი წინადადების წინააღმდეგ.

საჭიროა შეიქმნას საერთაშორისო ფონდი ჩამორჩენილი რაიონებისათვის ეკონომიური და ტექნიკური დახმარების გასაწევად, „რათა რასიზმისა და იმპერიალიზმის ძველი პოლიტიკა შეიცვალოს ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკით".

მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტმა განაცხადა, რომ იგი მხურვალედ მიესალმება „მშვიდობისათვის ბრძოლის ეროვნული საბჭოს" პროგრამას.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიურო ამხილებს საფრანგეთის რეაქციის მანევრებს

პარიზი, 10 მაისი. (საქდესი). როგორც გაზეთი „იუმანიტე" იუწყება, შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიურომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელიც ამხილებს სერიოზულ საფრთხეს, რაც საფრანგეთს იმის შედეგად მოევლინა, რომ ეროვნული კრების უმრავლესობამ მიიღო ხალხის უფლებათა დამრღვევი რეაქციული საარჩევნო კანონი.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიურო პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ „ზაფხულის შვებულებათა პერიოდში არჩევნების ვადის დაწესება ახალი მანევრია რეაქციონერებისა, რომლებიც მიზნად ისახავენ შეზღუდონ მუშათა კლასის მონაწილეობა საყოველთაო არჩევნებში".

ბიურო აღნიშნავს, რომ მშრომელთა მასების ბევრი მოთხოვნა, მაგალითად, ხელფასის მოძრავი სკალის დაწესება, ხელფასის ზონების გაუქმება, ეროვნულ კრებას არ განუხილავს, და მოუწოდებს მშრომელებს მტკიცედ მოითხოვონ, რომ პარლამენტი არ დაითხოვონ მანამდე, სანამ იგი არ დააკმაყოფილებს მშრომელთა ამ კანონიერ მოთხოვნებს.

დასასრულ შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიურო პროტესტს აცხადებს ვილი მაკგის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 10 მაისი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით მთელ ფრონტზე განაგრძობენ აქტიურ საბრძოლო მოქმედებას.

უკანასკნელ დღეებში ფრონტზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

ფრონტის ცალკეულ უბნებზე სახალხო არმიის ნაწილებმა, მოიგერიეს რა მოწინააღმდეგის კონტრიერიშები, მოსპეს, დაჭრეს და ტყვედ წამოიყვანეს მტრის 1.200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, აგრეთვე ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ხუთი თვითმფრინავი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ცნობა

ნიუ-იორკი, 10 მაისი. (საქდესი). როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო იუწყება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ იდენტური დეპეშები მიიღეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პაკ ხენ ენისაგან, რომელიც ამერიკელი ინტერვენტების ჯარებს კორეაში ბრალად სდებს ბაქტერიოლოგიური ომის წარმოებას.

ამერიკის თვითმფრინავები ბომბავენ ამერიკის სამხედრო ტყვეების ბანაკებს კორეაში

პეკინი, 9 მაისი. (საქდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კორეის ფრონტიდან გადმოგვცემს, რომ კორეაში ამერიკის ავიაციის მოქმედების შედეგად მოკლულ იქნა 23 და დაიჭრა 31 ამერიკელი სამხედრო ტყვე. დაჭრილი ამერიკელი ჯარისკაცები ამჟამად იმყოფებიან სამკურნალოდ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი შეიძლება მოკვდეს მიღებული მძიმე ჭრილობების შედეგად.

19 ამერიკელი ჯარისკაცი მოკლულ თუ დაჭრილ იქნა ცენტრალურ კორეაში 19 თებერვალს ამერიკის თვითმფრინავთა თავდასხმის დროს. კიდევ 3 ჯარისკაცი მოკლულ იქნა იმ თავდასხმების დროს, რომლებიც 17 მარტსა და 2 აპრილს მოხდა. 22 აპრილს ამერიკის „მუსტანგის" ტიპის 4 თვითმფრინავმა სროლა აუტეხა სამხედრო ტყვეთა ბანაკს, მოკლა თუ დაჭრა 32 ამერიკელი ჯარისკაცი და 12 კორეელი გლეხი. იმ მომენტში, როცა თვითმფრინავები თავს დასტრიალებდნენ ბანაკს, ჩინელი მოხალისეები, აგრეთვე კორეელი ექიმები და მედიცინის დები ბანაკისაკენ გაემართნენ, რომ დაჭრილები გადაერჩინათ.

ესპანელ მშრომელთა ბრძოლა ფრანკისტული რეჟიმისა და სიძვირის წინააღმდეგ

პარიზი, 9 მაისი. (საქდესი). გაზეთი „იუმანიტე" იუწყება, რომ 8 მაისს ნავარის პროვინციის დედაქალაქ პამპლონის მშრომელებმა საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადეს ცხოვრების სიძვირისა და ფრანკისტული რეჟიმის წინააღმდეგ. ქალაქში გაჩერდა ყველა ქარხანა, მუშაობა შეწყვიტა ტრანსპორტმა, დაიხურა ყველა მაღაზია და კაფე.

მუშათა და დიასახლისთა დიდი ჯგუფი შეიკრიბა სასურსათო მომარაგების ბიუროს შენობასთან, რათა თავისი პროტესტი განეცხადებინა სურსათის მხრივ მძიმე მდგომარეობის წინააღმდეგ. ქალები ქვებს უშენდნენ ბიუროს ფანჯრებს. პოლიცია ცდილობდა ჩაეშალა დემონსტრაცია, სროლა აუტეხა დემონსტრანტებს, მაგრამ მშრომელებმა მას ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწიეს. გაზეთი აღნიშნავს, რომ დემონსტრანტთა შორის არიან დაჭრილები.

ამავე დროს გაზეთი „ფრან-ტირერი" იუწყება, რომ ქალაქ ვიქტორიაში წინათ დაწყებული საყოველთაო გაფიცვა გრძელდება.

ისრაელის კომპარტიის განცხადება

თელ-ავივი, 11 მაისი. (საქდესი). ისრაელის კომპარტიამ გამოაქვეყნა განცხადება ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღის დღესასწაულის გამო. განცხადებაში აღნიშნულია სახელმწიფო დამოუკიდებლობის მიღწევის საქმეში დიდი დახმარება, რომელიც გაუწია ისრაელს მშვიდობის მსოფლიო ბანაკმა საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

„ისრაელის სახელმწიფოს შექმნის დღიდან გასულ სამ წელიწადში,—ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, — ბენ-გურიონის მთავრობა საბოლოოდ დაიმონა ამერიკის იმპერიალიზმმა. ჩვენმა სახელმწიფომ დაკარგა თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო დამოუკიდებლობა. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ეკუთვნით ამერიკელ და ინგლისელ მილიონერებს. ამერიკელთა ზეგავლენით ჩვენი ბიუჯეტის მეტი ნაწილი, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ამერიკის აგრესიული გეგმების შესაბამისად, იხარჯება სამხედრო ბაზების, აეროდრომების, სამხედრო ნავსადგურებისა და სხვ. შექმნაზე. დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის ნახევარი (კაპლანი, მეირსონი, შაპირო, ჯოზეფი და ბენ-გურიონი) დამოუკიდებლობის დღესასწაულის დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება. ეს შემთხვევითი როდია. ბენ-გურიონი მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრ მარშალთან ახლო აღმოსავლეთის აგრესიული ბლოკისადმი ისრაელის მიმხრობისა და იმ საზარბაზნე ხორცის რაოდენობის შესახებ, რომელიც უნდა გადასცეს ისრაელმა გენერლების ეიზენჰაუერის, რობერტსონისა და გუდერიანის განკარგულებაში, ატლანტიკურ-ნაცისტური შტაბის განკარგულებაში.

უოლ-სტრიტის მიერ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამონების შედეგად ისრაელი ხალხი იტანჯება საშინელი სიძვირით; მას არ ყოფნის სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; მატულობს უმუშევრობა, გვაკლია საცხოვრებელი სახლები, მცირდება რეალური ხელფასი და დაბლა იწევს ხალხის მასების საერთო საარსებო დონე. ირღვევა დემოკრატიული უფლებები, რომლებსაც ჰპირდებოდნენ დამოუკიდებლობის დეკლარაციით".

კომპარტია მოუწოდებს ხალხის მასებს „იბრძოლონ ისრაელის ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის, აგრესიული ბლოკისადმი ისრაელის სახელმწიფოს მიმხრობის წინააღმდეგ, ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად სტრატეგიული ბაზების შექმნის წინააღმდეგ", ხალხის მასების ცხოვრების გაუმჯობესებისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის.

პანამის ამბების გამო

ნიუ-იორკი, 11 მაისი. (საქდესი). ამ ბოლო დროს პანამის პრეზიდენტის არიასის მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტების მიერ პანამის შემდგომი დამონება.

ფეხქვეშ ეგება რა ამერიკელ იმპერიალისტებს, არიასმა მიაღწია ისეთი დეკრეტის მიღებას, რომელიც ითვალისწინებს, რომ 20 წლის განმავლობაში გადასახადებისაგან თავისუფლდება უცხოელთა, უწინარეს ყოვლისა ამერიკელთა, კაპიტალები, რაც დაბანდებულია პანამაში. პანამის მთავრობამ ამერიკის შეერთებულ შტატებთან დადო კაბალური შეთანხმება, რომლითაც ვალდებულება იკისრა შეერთებულ შტატებში იყიდოს ხორბალი ისეთ ფასად, რაც ბევრად აღემატება მსოფლიო ბაზრებზე არსებულ ფასებს. არიასის მთავრობამ დადო მთელი რიგი შეთანხმებანი, რომლებმაც შეერთებულ შტატებისათვის უზრუნველყო სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზები პანამაში.

ამერიკელი იმპერიალისტების აგენტი არიასი პანამას ამერიკის შეერთებული შტატების აგრარულ-სანედლეულო დანამატად და სამხედრო ბაზად აქცევს და იერიში მიაქვს პანამის ხალხის დემოკრატიულ უფლებებზე, სდევნის პროგრესულ ორგანიზაციებს. პანამის მთავრობამ აკრძალა მშვიდობის დაცვის პანამის მუდმივი კომიტეტის მოღვაწეობა.

პრეზიდენტ არიასის ანტიდემოკრატიული და ფაშისტური კანონების მიუხედავად პანამაში ძლიერდება მოძრაობა მშვიდობის დასაცავად, მთავრობის ცდების წინააღმდეგ—სრულიად დაუმონოს პანამის ხალხი ამერიკელ იმპერიალისტებს.

ამას წინათ პანამის ახალგაზრდობის რამდენიმე ორგანიზაციამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „პანამის ახალგაზრდობა არ გახდება საზარბაზნე ხორცი ამერიკის იმპერიალიზმისათვის, რომელიც კორეელი ხალხის წინააღმდეგ იბრძვის".

თავისი რეაქციული პოლიტიკური კურსისადმი ყოველგვარი წინააღმდეგობის ჩასახშობად არიასმა განახორციელა სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც, მისი განზრახვით, ფაშისტური დიქტატურის დამყარებით უნდა დამთავრებულიყო. ამ მიზნით მან გააუქმა 1946 წლის კონსტიტუცია და გამოაცხადა, რომ დათხოვნილია ეროვნული ასამბლეა—პარლამენტი, რომელიც კონსტიტუციით საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს პანამაში.

არიასის პოლიტიკამ პანამის ხალხის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. 9 მაისს პანამაში გაიმართა 15-ათასიანი საპროტესტო დემონსტრაცია არიასის დიქტატორული მოქმედების წინააღმდეგ.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, რომ „პანამის პრეზიდენტის მოქმედების პასუხად ექვსმა პოლიტიკურმა პარტიამ უკვე განაცხადა, რომ ისინი არიასის მიერ მოწყობილი გადატრიალების წინააღმდეგი არიან".

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი პანამიდან იუწყება, დაწყებულმა საყოველთაო გაფიცვამ შეაჩერა მთავრობის დაწესებულებათა, ტრანსპორტისა და სხვ. მუშაობა. გაზეთი იუწყება, რომ 10 მაისს ქალაქში შეტაკება მოხდა არიასის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. სროლის შედეგად 117 კაცი დაიჭრა. შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ეროვნულმა ასამბლეამ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება კონსტიტუციის დარღვევისათვის სამართალში მისცეს პრეზიდენტი არიასი.

შეთქმულთა გასამართლება ბულგარეთში

სოფია, 10 მაისი. (საქდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ 1951 წლის 26-დან 30 აპრილამდე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო არჩევდა ყოფილი მინისტრების პეტკო კუნინისა და მანოლ საკელაროვის საქმეს. სასამართლოში უდავოდ დამტკიცდა, რომ პეტკო კუნინი და მანოლ საკელაროვი იყვნენ ტრაიჩო კოსტოვის შეთქმულთა ჯგუფის წევრები და რომ მისი დირექტივებით, სარგებლობდნენ რა თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობით, საბოტაჟს ახორციელებდნენ მრეწველობის, ელექტროფიკაციისა და მშენებლობის დარგში, რითაც სერიოზულ ზარალს აყენებდნენ სახალხო მეურნეობას.

გარდა ამისა, პეტკო კუნინი ტრაიჩო კოსტოვის დირექტივებით ბულგარეთისათვის მტრულ მოლაპარაკებას ეწეოდა ტიტოს ხროვის წევრებთან.

2 მაისს უმაღლესმა სასამართლომ პეტკო კუნინს მიუსაჯა 15 წლის და მანოლ საკელაროვს 10 წლის პატიმრობა.

1951 წლის 27-დან 30 აპრილამდე სოფიის საოლქო სასამართლომ მოისმინა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრის ივანე მასლაროვისა და ცენტრალური კომიტეტის წევრობის ყოფილი კანდიდატის, ქალაქ სლივენში კომპარტიის რაიონული კომიტეტის ყოფილი მდივნის პეტრე სემერჯიევის საქმე. სასამართლოში უდავოდ დამტკიცდა, რომ ორივენი ერთ დროს თანამშრომლობდნენ ფაშისტურ პოლიციასთან და იყვნენ ტრაიჩო კოსტოვის ჯგუფის წევრები. მასლაროვი დაკავშირებული იყო იუგოსლავიის დაზვერვის აგენტებთან.

ამა წლის 2 მაისს სასამართლომ ივანე მასლაროვს მიუსაჯა 15 წლისა და პეტრე სემერჯიევს 12 წლის პატიმრობა.

პროფსაბჭოს იურიდიულ ბიუროში

საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული ბიურო, რომელიც მოთავსებულია შრომის სასახლეში (გრიბოედოვის ქუჩა № 19), მუდამ სავსეა იურიდიულ საკითხებზე კონსულტაციისათვის მოსული მოქალაქეებით. მათ გულისხმიერად ეკიდებიან და ამომწურავ პასუხს აძლევენ ბიუროში მომუშავე იურისტები.

ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იურიდიულმა ბიურომ შრომისა და სხვადასხვა საკითხებზე 29.000 კონსულტაცია გაუწია მოქალაქეებს, ხოლო 1951 წლის პირველ კვარტალში პროფკავშირის 5.189 წევრს გაუწია კონსულტაცია. იურიდიული ბიუროს მუშაკები კონსულტაციებს აწყობენ უშუალოდ ფაბრიკებსა და ქარხნებშიც. 1951 წლის პირველ კვარტალში ფაბრიკებსა და ქარხნებში 21-ჯერ მოეწყო კონსულტაცია და იურიდიული რჩევა-დარიგება მიეცა 12.000 კაცს.

მამაცი მონადირე

ლაგოდეხი. (ჩვენი კორ.). რაიონის ცენტრიდან 2 კილომეტრის დაშორებით გაშენებულია სუბტროპიკული კულტურების ჯიშთა გამოცდის პუნქტი. ამ მიდამოებში ბლომადაა სხვადასხვა მტაცებელი ცხოველი. ახალგაზრდა მონადირემ, აგრონომმა ვ. კაპანაძემ მარტსა და აპრილში დაიჭირა სამი მგელი. გარდა ამისა, მან მიმდინარე წლის ოთხ თვეში მონადირეთა კავშირის ლაგოდეხის განყოფილებას ჩააბარა სხვადასხვა მტაცებელი ცხოველის 20-მდე ტყავი, მათ შორის ტურისა—4, გარეული კატისა—7 და სხვ.

პრემიერა ჭიათურის სახელმწიფო თეატრში

ჭიათურა. (საკ. კორ.). აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" (ინსცენირებული ჰ. გელეიშვილის მიერ).

სპექტაკლში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი თ. აბაშიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. ვაშაძე, გ. ნუცუბიძე, ნ. სიხარულიძე, გ. ტყაბლაძე; მსახიობები: შ. ზანეთიშვილი, ბ. ღურმიშიძე, ა. დათუაშვილი, ბ. ვაშაძე, მ. კუხიანი, ა. მოსიაშვილი, ვ. სვანელი, ნ. ჭამუშაძე, ნ. ქუთათელაძე და სხვ.

სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ცომაიამ, გააფორმა მხატვარმა მ. აბეანდაძემ.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა მეორე სპარტაკიადა

დამთავრდა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა მეორე სპარტაკიადა.

სპარტაკიადის პროგრამაში იყო: ჭადრაკი, ტანვარჯიში, ფრენბურთი, ფეხბურთი, მძლეოსნობა, კლასიკური ჭიდაობა, ძალოსნობა, კროსი, სროლა და კალათბურთი. შეჯიბრებაში 750-მდე სტუდენტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

საერთო კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა სამთო ფაკულტეტის გუნდი, მეორე ადგილი დაიკავა სამშენებლო ფაკულტეტის გუნდმა, ხოლო მესამე ადგილზე გავიდა მექანიკური ფაკულტეტის გუნდი.

მასწავლებლის სახლში

მასწავლებლის სახლში 15 მაისს საღამოს 7 საათზე შედგება საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. 1951-1952 სასწავლო წლისათვის სკოლების მზადების საკითხებზე.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ მოხსენებებს წაიკითხავენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ვ. ტოგონიძე და საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ა. მურუხიძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

13 მაისს

6.45 — ტუსკიას სუიტა „არსენა". 7.50— ახალგაზრდობის სიმღერები. 9.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 10.30 — „პიონერთა დილის" საკვირაო გამოშვება. 12.15 — მუსიკალურ-ლიტერატურული რადიო კრებული. 13.20 — კონცერტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა შესრულებით. 13.50 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება". 17.10 — კონცერტი მოსწავლეთათვის. 19.00 — გადაცემა: ახალგაზრდობა მშვიდობისათვის ბრძოლაში. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — არიები ოპერებიდან. 20.45— ქართული ხალხური სიმღერები. 21.10 — საუბარი: რას წარმოადგენს ამერიკელ მრეწველთა ასოციაცია და „თორმეტთა კომიტეტი". 21.30— კონცერტი ბ. დიდებულიძის შესრულებით. 21.55 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით. 22.40 — გადაცემა ციკლიდან: „სტალინური პრემიის ლაურეატი მწერლების ახალი წიგნების შესახებ". 23.00 — პოპულარული მუსიკა. 24.00 — საბალეტო მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — „აიდა" (მე-10 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — „ხევისბერი გოჩა" (მ. ჩიხლაძის შემოქმედებითი საღამო); **მარჯანიშვილის სახელობის** — „მოძღვარი"; **გრიბოედოვის სახელობის** — „ბრძოლა სიცოცხლისათვის" (მე-6 აბ.); **სომხური დრამის**—„საიათნოვა"; **მუსიკალური კომედიის**—„ბრწყინვალე მომავალი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პრემიერა „ლადო კეცხოველი" (90-ე აბ. 8 საათზე); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—„კომბლე" (156-ე აბ. 7 საათზე); **სანკულტურის თეატრი**— „სვანეთის მთებში".

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 22 მაისს, დღის 3 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ № 10) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავენ დისერტაციას:

თინა იონას ასული სირია თემაზე: „ერთკამერიანი ექინოკოკის ფიბროულ კაფსულაში ხოლექსების გამავლობის საკითხისათვის".

ოფიციალური ოპონენტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **მ. კ. ჩაჩავა,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ა. ნ. ჯორბენაძე** და დოცენტი **ი. გ. გველესიანი.**

ქეთევან ილარიონის ასული უზნაძე-მჭედლიშვილი თემაზე: „ცვლილებები ღვიძლის ბარიერულ (ანტიტოქსიკურ) ფუნქციაში კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს".

ოფიციალური ოპონენტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **დ. გ. თოხელიანი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ი. ბ. ფაილოძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 28 მაისს დღის 12 საათზე მეცნიერებათა აკადემიის კონფერენც-დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) შედგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზეც ერევნის სამხატვრო ინსტიტუტის პედაგოგი **ვაჰან ნაზარეთის-ძე არუთიუნიანი** ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Скульптор Ара Саркисян".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, სტალინური პრემიის ლაურეატი პროფესორი **უჩა ჯაფარიძე,** ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი დოცენტი **ვ. ბერიძე,** ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი **თ. ვირსალაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში კეცხოველის ქ. № 10).

ა. წ. 12 და 13 მაისს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (უნივერსიტეტის ქ. № 1) მოწვეულია საქართველოს მთამსვლელთა მე-5 რესპუბლიკური კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ა. ბ. ჯაფარიძის სახელობის ალპური კლუბის პრეზიდიუმის ანგარიში 1946-50 წ. წ. მუშაობის შესახებ (მომხსენებელი ამხ. ი. მარი).
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში (ამხ. რ. ჩხეიძე).
3. საქართველოს ალპური კლუბის ახალი წესდების პროექტის განხილვა-დამტკიცება (ამხ. დ. ფურცელაძე).
4. საქართველოს ალპური კლუბის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

კონფერენცია გაიხსნება 12 მაისს საღამოს 8 საათზე.

საორგანიზაციო კომისია

დედა თამარ კვაჭაძე, მამა ზაქარია, ძმა გოგი, პაპა სიმონ, მამიდა მელიტა ექვთიმიშვილები, ბაბუა იაგორ, ბებია ანა კვაჭაძეები იუწყებიან, რომ 13-V, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია პატარა **ქეთინოს** პანაშვიდი.

მეუღლე მარო ჩხეიძე იუწყება, რომ 13-V, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ანდრო სოლომონის-ძე ჩხეიძის** პანაშვიდი.

დედა ნადეჟდა ჯობაძე იუწყება **ჯიმი ივანეს-ძე როსტიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12-V, 7 ს. გამოსვენება 13-V, 5 ს. საბჭოს, 105.

ც. სვანიძე, ი. მამალაძე, ა. მონიავა, ა. კობალაძე, ვ. მებუკე, ნ. ლომიძე, ვ. მთვარაძე, თ. მელიავა, დ. მოლაშვილი, ა. ლოსაბერიძე, გ. ალადაშვილი, შ. ნებიერიძე, შ. გვახარია, გ. გოშაძე, ჯ. გაბუნია იუწყებიან **თამაზ გუგუშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, შვილები ციალა, ნოდარ, სიძე რევაზ დოლიძე, ძმები შალვა, პავლე კალანდაძეები, ქსენია, დავით იმნაძეები იუწყებიან, რომ 13-V, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **პროკოფი ფირანის-ძე კალანდაძის** პანაშვიდი.

ა. ხატიაშვილი, თ. ნიჟარაძე, თ. საზანგუსი, რ. არველაძე, ი. ჩარკვიანი, ე. პეტროსოვა, მ. ჯინჭარაძე, ვ. ცერცვაძე, ნ. ლოლუა, თ. ოზიაშვილი, მ. ცინცაძე, ჯ. გელოვანი, ა. შამუგია, რ. ოდიშარია, თ. ლომიძე, თ. კოტორაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ პ. ქელივიძეს მისი მამის **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ქელივიძის** გარდაცვალების გამო.

ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირის სისტემის თანამშრომლები იუწყებიან **ალექსანდრე გიორგის-ძე ბუჯიაშვილის** გარდაცვალებას.

თოფა და ლამარა გუგუშვილები შვილით ჯანგირით იუწყებიან ძმისწულის **თამაზ გუგუშვილის** გარდაცვალებას.

მშობლები იტო, ნიკოლოზ ლაპიაშვილები, მეუღლე აკაკი, შვილები ნელი, თენგიზ იუწყებიან **ვარვარა ნიკოლოზის ასულ ლაპიაშვილი-ცანავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12-V, 7 ს. გამოსვენება 13-V, 4 ს. არაგვისპირელის, 7.

შვილები ზურაბ, ვალია მახარაშვილები, რძალი ეთერ ქორქაშვილი, შვილიშვილები ლიმინა, ჯუმბერ, ნანი იუწყებიან, რომ 13-V, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ხალიმე ზაქარიას ასულ მახარაშვილის** პანაშვიდი.

შვილი კატო ხელაშვილი, სიძე მიშა ბერიძე, შვილიშვილი თამაზ იუწყებიან, რომ 13-V, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **მარიამ სიმონის ასულ ხელაშვილის** პანაშვიდი.

მეუღლე ლიდა, შვილი ეთერ, დები თამარ, თინა, ბაბულია, ძმა გიორგი ნაცვლიშვილები, სიძე ბ. ხოსროშვილი იუწყებიან **შალვა თომას-ძე ნაცვლიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12-V, 7 ს. გამოსვენება 13-V, 3 ს. კალანდაძის, 29.

შვილები ლადო, ანა, მარო, რძალი სოფიო, სიძეები ალექსანდრე ელიზბარაშვილი, გიორგი ბაქრაძე, შვილიშვილები გივი, ნიკოლოზ, თინა ოჯახებით იუწყებიან **სოფიო ალექსის ასულ ბლუაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 13-V, 3 ს. ლერმონტოვის, 11-ა.

მშობლები ნუცა კაკაბაძე, მექი გუგუშვილი, ძმა ზურაბ, დეიდა ნადია კაკაბაძე, დეიდაშვილები ლია, გოგი იუწყებიან **თამაზ გუგუშვილის** გარდაცვალებას პანაშვიდი 12-V, 8 ს. გამოსვენება 13-V, 3 ს. ოქროყანის, 27.

მშობლები სერგო, აშხენ, და ემა, ძმა ვლადიმერ სარქისოვები, ბიძა რომა, დეიდაშვილი ჯემალ მამფორიები იუწყებიან **გიორგი სერგოს-ძე სარქისოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-V, 8 ს. გამოსვენება 13-V, 5 ს. 25 თებერვლის, 19.

შვილები ბიძინა, შალვა, ჯუანშერ, თამარ, გენო ლამბაშიძეები ოჯახებით, სიძე ა. კლენჯერიძე იუწყებიან, რომ 13-V, 4 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **პელაგია ლავრენტის ასულ ლამბაშიძის** პანაშვიდი.

ვერა, გიორგი, სავლე, ქსენია, ნადია, ანეტა, დოდო, თინა, პეპელა ჭიჭინაძეები, ვანო მზეიძე, ვლასი რატიანი იუწყებიან ბიძაშვილის **პეტრე სიმონის-ძე ჭიჭინაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 12-V, 6 ს. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიიდან, პლეხანოვის, 123.

შვილები პარმენ, პილასი, რძლები ოლია, ბაბო, ლუტუ, შვილიშვილები პეტრე, ქეთო, ქსენია, კარლო, ციალა, გივი, ლიანა, სიძე მ. არსენიძე იუწყებიან **ერასტი ივანეს-ძე ბრეგვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-V, ს. თაბაგრებში (ჭიათურის რ.).

თამარ და კოწია მელაძეები, ქსენია მეტეხელი, ლევან ჯაველიძე თანაგრძნობას უცხადებენ ნ. ჯობაძეს მისი შვილის **ჯიმი ივანეს-ძე როსტიაშვილის** გარდაცვალების გამო.

ბებია ბაბილინა, ბიძები მიშა, გოგიტა, ალიოშა, ბიცოლები ნინო, ნატაშა, ქეთო, მარუსია მაჭავარიანები შვილებით იუწყებიან, რომ 13-V, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ოთარ კონსტანტინეს-ძე მიქაძის** პანაშვიდი.

თბილისის ქალთა 51-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ეკ. ჯორჯიკიას მისი მამის **დომენტი ოქროპირის-ძე ჭეიშვილის** გარდაცვალების გამო.

კ. აფხაზავა, მ. დათუაშვილი, ი. ჩიხლაძე, ტ. ელიავა, მ. ლოლუა, ჯ. მიქელაძე, ა. ბალიაურია, ს. მანველოვი, ს. კაზეთელაძე, გ. ამირაჯიბი, ვ. ონიკაძე, გ. ანდღულაძე თანაგრძნობას უცხადებენ მ. გუგუშვილს მისი შვილის **თამაზის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81 84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80 83, სამრეწველო სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14.

უე 01291